საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია №273 პარასკევი, 5 ივლისი 1918 წ.

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

## მთავრობის რაზმი დუშეთში შევიდა—სანჩერეთი მეამბოხეთ მეთაურობდა ოსი.—კახეთისა და გურიიდან ჩამოვიდნენ სახალხო გვარდიელები—დღეს ეროვნული საბჭოს კრებაა.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ—1 მან., უკან—50 კაპ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15—2 ღირს 10 მან., 20—2 ღირს 15 მან., 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (კ. თავართქილაძესეული „ნადეჟდა") ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება სამი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Смхалхо Сакмэ", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 50 კაპ.

ბიბლიოთეკა 12-26

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:
ერთის თვით 8 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კ., რკ. გზის სადგურებზე 50 კ.
ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

სრულიად საქართველოს საკათოლიკოზო საბჭო და სასამართლო გლოვით აუწყებს ქართველ ერს, რომ ამა ივნისის 26—27-ს მამა ანტონ მარტომყოფელის მონასტერში ღვთით მიიცვალა უწმინდესი და უნეტარესი კათოლიკოზ-პატრიარქი სრულიად საქართველოსა

კირიონ მე-II

მისი უწმინდესობის ნეშთი დასვენებულია ანჩისხატის ტაძარში, რომლის კარი დღე და ღამ ღიაა. ყოველ დღე დილის 8 საათზე არქიელის წირვაა.—პანაშვიდები აგრეთვე ყოველ შუადღის 12 ს. და საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა კვირას, 7 მკათათვეს სიონის ტაძარში. 1218

კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიის სამრევლო საბჭო აუწყებს რა ამ ეკლესიის მრევლს, რომ ღვთივ მიიცვალა უწმიდესი და უნეტარესი საქართველოს ეკლესიისათვის ტანჯულ-წამებული კათალიკოზ-პატრიარქი

კირიონ II

სთხოვს დაესწროს შაბათს ივლისის 6-ს, საღამოს ექვს საათზე, პანაშვიდზე, რომელიც გადახდილ იქნება წმ. ნინოს ეკლესიის კრებულისაგან განსვენებულის სულის მოსახსენებლად. 707

დიდი ცირკი
ძმ. ეფიმოვებისა



რუსთაველის პრ., მუშტ. ბაღთ, საკუთ. ბინაზე შენობ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 18—00.
პარასკევს ივლისის 8—სა 1917 წ.
ბენეფისი საფრანგეთის გამოჩ. არტისტისა
გაბრიელ ოგაროსი
დღეს ყველაფერი ახალია და საინტერესო. მონაწილეობს მთელი დასი. ყველანი პირველად გამოდიან.
მუსიკა დაიწყება 7 ს., წარმოდგენა $8^1/_2$.
699
მთავარი გამგე: ა. ელიზაროვი.

**ტფილისი. 1918 წ. ივლისის 5.**

მრავალ უბედურებას-თან ერთად კიდევ ახალი უბედურება უახლოვდება საქართველოს! ხოლერა. ორი გარემოება უწყობს ხელს ხოლერის გაძლიერებას ჩვენში: სიმშილობა და ანტისანიტარული მდგომარეობა. პურის ნაკლებულობის გამო ხალხი ხილს ეტანება. საზოგადოდ დასუსტებული ორგანიზმი ადვილად ითვისებს ყოველნაირ ავადმყოფობას და განსაკუთრებით კი ხოლერას. მაგრამ ისე არაფერი უწყობს ხელს ხოლერის გავრცელებას, როგორც ანტისანიტარული მდგომარეობა. ქალაქი ჭუჭყით აივსო. მთელი თვეობით ეზოები და ქუჩები არა სუფთავდება. მრავალ სახლს მეეზოვე არა ჰყავს და ამიტომ ნაგავი ადგილობრივ ლპება და იქცევა ეპიდემიის გამავრცელებელ ბუდედ. ხოლერა ისეთი ავადმყოფობაა, რომ, თუ იგი ძალიან გავრცელდა და ქალაქებსა და სოფლებს მოედო, საშინელ უბედურება დაატყდება ჩვენს ქვეყანას.

ყოვლად შეუძლებელია ასეთი მდგომარეობა დიდ-ხანს გაგრძელდეს და ყოვლად სასტიკი ზომები არ იქმნას მიღებული ქალაქის სასანიტარო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ქალაქის გამგეობამ მოვალე უნდა გახადოს ყოველი სახლის პატრონი, სასტიკი რეპრესიების შიშით, იყოლიონ მეეზოვეები ან სხვაფრივ დასწმინდონ და დასუფთაონ ეზოები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქის განაპირა კუთხეებს და ისეთს ადგილებს, სადაც ლტოლვილები ბინადრობენ.

წინდაწინვე უნდა იყოს მიღებული ზომები პროვინციის ქალაქებშიაც. საგუბერნიო მართველობამ წინდაწინვე უნდა მოვალე გახადოს პროვინციის ქალაქები ისეთივე ზომები მიიღონ, რანაირიც ტფილისისთვის იქნება შემუშავებული.

ეხლანდელ არევ-დარევის დროს, როდესაც ჩვენს ქვეყანას ანარქია მოედო, როდესაც ადმინისტრატიული აპარატი სრულიად მოშლილია, სოფელი უმწეო მდგომარეობაში იმყოფება, და თუ ხოლერა გაძლიერდა, იგი აუცილებლად კატასტროფიულ ხასიათს მიიღებს.

ჩვეულებრივი ზომებით უკვე შეუძლებელი გახდება ეპიდემიასთან ბრძოლა სწორედ იმიტომ, რომ პირობები ნორმალური ბრძოლისა არ არსებობს. მომუშავეთ ყოველნაირი სამუშაო ხელიდან სცვივა. ასევე მოხდება მაშინ, როდესაც ხოლერა ეპიდემიურ ხასიათს მიიღებს. ამიტომ საჭიროა წინდაწინვე იქმნას მიღებული სასტიკი, რეპრესიული ზომები, რათა ეპიდემია სათავეშივე ჩაიკლას და პროვინციის ქალაქებსა და სოფლებს არ მიედოს.

## დუშეთის ამბები.

დუშეთის ფრონტიდან ჩამოსულმა ამხანაგმა შემდეგი გვიამბო: ჩვენი პირველი ბატარეის ერთი „ვზვოდი" (წყება) მცხეთაში ჩავიდა და სახალხო გვარდიელების რაზმს შეუერთდა. მცხეთაში შეერთებული ძალა გავიყავით სამ ნაწილად. ერთი ნაწილი პატარა რიცხვიანი საგურამოსაკენ გაემართა, მეორე ნაწილი 6 ზარბაზნით პოლკ. კონიაშვილის მეთაურობით სამხედრო გზით წავიდა, ჩვენ კი სად. ქსნამდე ავედით და აქედან ვაპირებდით მჭადის-ჯვარ მუხრანზე გადასვლას დუშეთისაკენ. ვერ მოვასწარით მატარებლიდან ჩამოსვლა და ჩვენ 6 ზარბაზნის დადგმა, რომ მტკვრის გაღმა მხრიდან ციხის ძირიდან აჯანყებულებმა სროლა აგვიტეხეს. ჩვენ ზარბაზნის სროლით ვუპასუხეთ, 40-დე ყუმბარა ვესროლეთ, 5—6 ალაგას დავაზიანეთ ციხე, მალე იქიდან თოფის სროლა შესწყდა, ჩვენ გავემართეთ მჭადის ჯვრისაკენ და მცირეოდენი შეტაკებები გვქონდა. ჩვენთან ერთად მოდიოდნენ სახალხო გვარდიელებიც 500 კაცი. მჭადის-ჯვარი დაცარიელებული დაგვხვდა, ხელი არაფრისთვის გვიხლია და თანდათან გლეხებიც მოვიდნენ. მათთან ლაპარაკის დროს გამოირკვა, რომ ყოფილი თავადი ირაკლი მუხრანსკი გლეხებს დაჰპუქრებია: გაჩვენებთ სეირს, თუ როგორ უნდა ციწუების დატაცება. მოვიყვან ჯარს და არამც თუ ჩემს მიწებს დავიბრუნებ, არამედ თქვენებსაც წაგართმევთო. ჩვენ გვეგონა თქვენ დანახვაზე, რომ ირაკ. მუხრანსკის ჯარი იყავით და ამისთვის სროლა აგიტეხეთო. რა ვქნათ მოტყუებულები ვართ, შეცდომაში შეგვიყვანეს და თქვენი ვინაობა სხვანაირად დაგვისახესო". ამათ იარაღი დაჰყარეს და მუხრანისკენ გაემართნენ, აქაც იარაღის აყრის შემდეგ უბრძოლველად წავედით დუშეთამდე და ივლისის ორს დილის 11 საათზე დუშეთის მცხოვრებნს მივუახლოვდით. სტრატეგიულის მოსაზრებით ქალაქში არ დავბანაკებულვართ, რადგან დუშეთი ჩავარდნილი ალაგას არის და იქ დაბანაკებულებს ზევიდან აჯანყებულები ცუდს დღეს დაგვაყენებდნენ. ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა. გზაში დავიჭირეთ აჯანყებულების ხელმძღვანელები სამი რუსის ოფიცერი, ერთი სომეხი ოფიცერი და ერთიც სპეკულ-ქელი სომეხი სტუდენტიო.

კონიაშვილის რაზმს დიდი შეტაკება ჰქონია ბულაჩაურის ხიდთან დუშეთის ქვევით. მთელი დღე-ღამის განმავლობაში ზარბაზნის დიდი გრიალი ისმოდაო.

## თიანეთის ამბები.

აქედან ჩამოსულებმა გვიამბეს თიანეთის არეულობა გამოიწვია კომისარიატის შეუსაბამო მოქმედებამ, როცა ვაცნობეთ რესპუბლიკის მთავრობას, მან კი არავითარი ყურადღება არ მოგვაქცია. კომისარიატის ერთი წევრი იარაღით ვაჭრობდა და სხვაც ბევრი რამ არა საკადრისი კეთდებოდა. ხალხმა მოითხოვა კომისარიატის გადადგომა, კომისრიატი კი შეიარაღდა და ღამე ტყვიის მფრქვეველები დადგა გორაკზე, დილით ასტეხეს სროლა და რომ დაინახეს ხალხთან ბრძოლას ვერაფრით შეძლებდნენ—გაიქცნენო.

ახლა ისინი დატუსაღებულები არიან და თიანეთში სიმშვიდეაო.

## ომის დეპეშები

**ბერლინი.** 3 ივლისი. გერმანელთა სამხედრო მოხსენება. დასავლეთის ფრონტი. კონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. მოხერხებული ზვერვა და ბრძოლა. ინგლისელთა სასტიკი შემოტევა მერრისთან და მუაიეხვილთან შემუსრულია. ალბერის ჩრდილოდასავლეთით ნაწილობრივ შეტაკების დროს ჩვენ ტყვეები წამოვიყვანეთ.

გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი. მდ. ენის ჩრდილოეთით, დღეს დილით გაცხოველდა ადგ. ლოკალური შეტაკებანი. ენსა და მარნას შორის მტერი ცოცხლად მოქმედებდა ნაწილობრივი შემოტევა პიერ-ეგლი და შატო-ტიერისთან მოგერიებულია.

ამერიკულ ესკადრას, 8-სგან შემდგარს ჩამოუგდეთ 4 ჰაეროპლანი; ლეიტ. უდეტმა 39-ჯერ გაიმარჯვა, ლეიტ. ლევენჰარდმა 33 ჯერ და 34 ჯერ, ლეიტ. ფრიდრიხმა და ვიცე ფელდფებელმა ტომმა ჩამოაგდეს მეოცე მტერი.

**ხტამბოლი.** 3 ივლ. ოსმალთა სამხედრო მოხსენება. პალესტ. ფრონტი სახაპიროდან. იერუსალიმი სანჯაკის გზაზე სუსტმოქმედა ხელი საომარი მოქმედება. ამ გზისა და იორდანეს შუა გაცხოველებული საარტილერიო ბრძოლაა.

იორდანეს აღმოსავლეთით ნელი საარტილერიო ცეცხლია. გეჯაზის რკინის გზის პირდაპირ, აჯანყებულებმა რამდენჯერმე სცადეს შეტევა, მაგრამ მოგერიებულ იქნა. დანარჩენ ფრონტზე საგულისხმო არაფერია.

**ვენა.** 3 ივლ. დილით, ჩვენი ტოროპენდის გემთა მცირე რაზმი, ხეულდობრიას რაიონში, ენკვეს მტრის დიდ რაზმს. გაჩაღდა დიდი ბრძოლა, ჩვენებმა ცეცხლი გაუხსნეს მტრის ერთ ერთ გამანადგურებელ გემს და მეორეც ძლიერ დააზიანა. მტერი შედგა და დაიხია. ჩვენი საომარი გემების ზიანი მცირეა. დაკარგვით არაფერი დაგვიკარგავს.

**ლონდონი.** 1 ივლ. ლორდთა პალატაში აღძრულ კითხვაზე, რუსთა შავზღვის ფლოტის მაგ. ზღვაზე სამხედრო გემის დაღუპვის შესახებ, რომ ამ გზით გერმანელებს ჩავარდნოდათ ხელში, ბიშარ-ლოუმ უპასუხა; ჩვენ საბუთი გვაქვს დავამტკიცოთ, რომ მართლაც ზოგიერთი გემი მაგ გზით დაღუპულ იქნა, მაგრამ ისიც უეჭვოა, რომ რუსეთის შავიზღვის ესკადრის დიდი ნაწილი, დაუზიანებლივ გერმანელებს ჩაუვარდათ ხელში.

## ახალი ამბავი

➜ **კათალიკოს კირიონის გარდაცვალება.** ოთხშაბათს, ივლისის 3 შესდგა კრება კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიის სამრევლო საბჭოსი; კრებას მოკლე მგძნობიარე სიტყვით მიმართა დეკ. მ. გ. გამრეკელმა, რომელშიაც აღნიშნა დვაწლი და შრომა რომელიც მიუძღოდა ღვთით განსვენებულ კათალიკოს პატრიარქ კირიონს ქართველი ერის წინაშე. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას შემდეგი კითხვა, რითი აღნიშნოს საბჭომ თვისი თანაგრძნობა და პატივისცემა განსვენებულისადმი, დადგენილ იქმნა: გადადებულ იქმნას საბჭოს თანხიდან 500 მანეთი განსვენებულ პატრიარქის ნაწერების გამოსაცემად, გადახდილ იქმნას შაბათ საღამოს პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად, და კვირას სამრევლო საბჭო მთელი თავისი შემადგენლობით დაესწროს კათალიკოს-პატრიარქის დასაფლავებას.

➜ **ჟურნალისტების კრება,** დღეს, ივლისის ხუთს, საღამოს რვა საათზე სასახლის თეთრ დარბაზში დანიშნულია ქართველ ჟურნალისტთა კრება გამგეობის ასარჩევად, ყველა ამხანაგს ვთხოვთ დაესწროს.

➜ **ხოლერა.** 30 ივლისს ავჭალიდან ქალაქის გამგეობას აცნობეს, რომ ქალაქის წყალსადენის ტერიტორიაზე ხოლერით გარდაიცვალა გადმოხვეწილი ქალით. ავჭალის სანიტარულ გაუგზავნეს ექიმი და სადეზინფექციო რაზმი შესაფერ ღონისძიებათა მისაღებად და წყალსადენში წყლის ბაქტერიოლოგიურად შესამოწმებლად, 3 ივლისს ტფილისში 8 კაცს აღმოაჩნდა ხოლერის ნიშნები.

**სიკვდილით დასჯა.** შინაგან საქმეთა სამინისტრო ტფილისისა და ქუთაისის საგუბერნიო სამაზრო და საოლქო კომისარებს აცნობა, რომ ცრავისული საბჭოს მიიღო კანონი სიკვდილით დასჯის შესახებ.

➜ **შაბათს 6 ივლისს** კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება კონცერტი სადამო „ცისფერი ყანწები". სიტყვებს წარმოსთქვამენ პ. იაშვილი—ცისფერი ყანწ. დეკლარაცია, გ. რობაქიძე—სიტყვა პოეზიაში, ტ. ტაბიძე—ცისფ. ყანწ, მედალიონი, ალი არსენიშვილი პოეზიის ბაკური, სერგო კლდიაშვილი—ქართული სიმბოლიზმის ჩრებლობა. ლექსებს წარმოსთქვამენ: გრ. რობაქიძე, ვალ. გაფრინდაშვილი, ტ. ტაბიძე, ლ. ჯაფარიძე, კოლაუ ნადირაძე, პ. იაშვილი.

➜ **ფინანსთა სამინისტრო** ამით აცხადებს, რომ ამსგან დანიშნულია კონკურსი ახ მანეთიანი ბილეთის ესკიზის შესამუშავებლად. უკანასკნელი ვადა ნახატის წარმოდგენისა 21 ივლისი ნაშუადღევის 2 საათამდე. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება სამინისტროს კანცელარიაში 1—2 საათამდე ყოველდღე.

➜ **ახალი წიგნები** რედაქციამ მიიღო სტამბოლში დაბეჭდილი წიგნაკები პეტრე სურგულაძისა: 1, საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, 2, დამოუკიდებელ საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა და 3, საქართველო თავისუფლებისაკენ.

➜ **ცრუ ხმები.** სურსათის მინისტრის თანაშემწე იუწყება ფოთიდან რომ სიმართლეს არ შეეფერება გაზეთებში დაბეჭდილი ცნობა, რომ ვითომც ჩამოსულიყოს გემი 450 ათასი ფუთით პურით. თანახმად სურსათის სამინისტროს მიერ გერმანელებთან დადებულ პირობისა ჩვენს პური ჩამოვა ნაწილი მხოლოდ ათი-თორმეტი დღის შემდეგ.

➜ **თიანეთში ყაჩაღთა ბრბომ შეიპყრო:** მუშათა და გლეხთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ნადირაძე, კოსისარის მდივანი ბაძაშვილი, ტუქსიშვილი, უნცაშვილი და 10 მილიციელი. მაზრის კომისარმა ო. ლაცაბიძემ, მისმა თანაშემწემ და სამეურნეო კომიტეტის თავმჯდომარე წიკლაურმა გაქცევა მოასწრეს. ამ ბრბოს მეთაურობს შ. ქელოვანი.

➜ **სანჩერიდან ჩამოსულის სიტყვით** იქ გამოსვლას მეთაურობდა ოსი, რომელიც ხალხს ეუბნებოდა, რომ მოდის მდიდრების რაზმი, რათა იარაღი აყაროს გლეხებს; მოუწოდებდა მათ წინააღმდეგობისთვის და დაცვათ რევოლუციის მონაპოვარი. აჯანყებულნი დაამშვიდეს, მათ შორის რამოდენიმე მოკლულია და რამოდენიმე დაჭრილი.

➜ **დუშეთის ამბები.** ვ. ჯუღელის რაზმმა დუშეთი დაიჭირა, იქ ამ ჟამად კონიაშვილის რაზმი იმყოფება. 9 წითელ რაზმელია დაჭრილი.

➜ **სასოფლო კომისია.** აირჩიეს სასოფლო კომისია პროვინციაში სამუშაოდ. კომისიაში შედიან: ივ. ხარტიშვილი, კლიმიაშვილი, ცაბაძე, ბადრიძე.

➜ **შტატების შემოკლების** გამო ეროვ. საბჭოს საფინანსო კომისიამ დაადგინა, რომ შტატ გარედ დარჩება მინისტრ-თავმჯდომარეს მდივანი ნ. გ. ძაბეგაძე, მთავრობის სამართველო მდივანი გ. ბ. ჩერქეზიშვილი და ბიბლიოთეკარი ვ. ა. ულიანოვი.

➜ **ერ. საბჭოს პრეზიდიუმმა** შეიტანა კანონ-პროექტი რომ ლანჩხუთის ქალაქის თვითმართველობას მიეცეს 25 ათასი მანეთი.

ქუთაისის ქართულ გიმნაზიის დირექტორმა შუამდგომლობა აღძრა გადაეცეს მას გიმნაზიის ბარეებისათვის 20 ათასი მანეთი, რომელიც წინად თავად აზნაურთა აღსაზრდელად ეძლეოდა მას,

➜ **გუმბრიდან ჩამოსული** მოგვითხრობს რომ იქიდან 100 სომეხი და რუსი ოფიცერი აზიაში გაგზავნეს. გუმბრში რაზილბეია დანიშნული გუბერნატორად.

➜ **ქუთაისის საგუბერნიო კომისიამ** ამ ჟამად მთელ გუბერნიაში მიიღო 8200 დესეტინა მიწა.

➜ **შრომის სამინისტროში** საჩქაროდ ამზადებენ 2 კანონპროექტს: 1) საქართველოს მიწაწყალზე საყოველთაო შრომის ბეგარის შემოღების შესახებ, 2) სახალხო გვარდიელთა ჯამაგირის და ულუფის შესახებ.

➜ **ტფილისის დამცველმა შტაბმა შეიპყრო:** პოლკ. აქეს. აბესაძე და, ოფიც. გას. კევხიშვილი მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის მოქ. ჯ. თუმანიანცი და მღვდ. ჯ. გულიხიანცი ჯაშუშობისათვის კაპ. მიხ. ეფრემოვი სისხლიანი ზაში ჩხუბისათვის.

## ეროვნული საბჭო.

ივლისის 2. საღამოს სხდომა.

განსახილველია კანონ პროექტი სიკვდილით დასჯის შემოღების შესახებ.

მომხსენებელია რ. არსენიძე. განსაკუთრებულს პირობებში იმყოფება საქართველოს რესპუბლიკა, იგი წელმოუმაგრებელია. დიდი ხნის არსებულ სახელმწიფოს შეუძლიან ნორმალური წესით მოიგერიოს დატეხილი უბედურება. ჩვენს სამშობლოში კი ეს შეუძლებელია. განსაკუთრებული პირობები განსაკუთრებულ საშუალებას—მკაცრ რეპრესიებს მოითხოვს. დროებით მაინც უნდა მივმართოთ ამას. სიკვდილით სასჯელი საჭიროა შემო-

ვილოთ. სიკვდილით დასჯით ჩვენ არ გვინდა ვისიმე გამოსწორება. ჩვენ ეს გვინდა იმიტომ, რომ ბოროტ-გამზრახველი არა ჰგრძნობდეს თავს თავისუფლად. ეს არის ერთი საშუალებათაგანი ანარქიის გაზვიადების თავიდან ასაცილებლად. სხვა სასჯელთა შორის ეს სასჯელიც უნდა დარჩეს, ვინაიდან არსებობა ბოროტ-მოქმედისა არის პირდაპირი მტრობა საზოგადოებისა; მისი მოსპობით კი გადავარჩენთ საზოგადოებას უბედურებისაგან. სიკვდილით დასჯის კანონი იქნება დროებითი და რომ ეს ნამდვილად დროებითი იყოს უნდა მისი არსებობა განვსაზღვროთ 6 თვით პრაქტიკულ მხარეს ეს დააკმაყოფილებს.

აკ. პაპავა. ს. ფ. ფრაქცია მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ საქართველოს ნორჩ რესპუბლიკას მკაცრი სასჯელი დასჭირდა თავისი არსებობის შესანარჩუნებლად. გაივლის დრო—სულ მოკლე ხანი—ცხოვრება ნორმალურს კალაპოტში ჩადგება და ეს სასჯელი საჭირო აღარ იქნება. ამიტომ ჩვენ ამ კანონპროექტს მხარს ვუჭერთ, როგორც დროებითს და იძულებითს ზომას.

აბაკელია ს. რ. ყველა აქ მყოფ სოციალისტისათვის დღევანდელი დღე ეტად სამწუხარო დღეა. ს. რ. ფრაქცია მხარს უჭერს ამ სასჯელის შემოღებას, როგორც დროებითს ზომას.

გადადიან მუხლობრივ განხილვაზე.

ა. პაპავა (ს. ფედ.) მოითხოვს, რომ კანონის პირველი მუხლის მეორე ნაწილი შეიცვალოს და სიკვდილით დასჯა დაწესდეს არა ყოველი მკვლელობისათვის, არამედ იმისთვის, ვინც მოჰკლავს თანამდებობის პირს სამსახურის დროს ან სამსახურის გამო, უცხო სახელმწიფოს მისიის წევრს ან უცხო სახელმწიფოს ჯარისკაცს, რომელიც საქართველოში იმყოფება საქარ. რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით.

მოითხოვს აგრეთვე, რომ სიკვდილით დასჯა არ არსებობდეს ყაჩაღობით და ძალით ქონების გატაცებისთვის.

დასასრულ ამბობს, რომ ყოვლად შეუწყნარებელია, ამ ახალი კანონით დაისაჯოს დამნაშავე, რომელმაც ბოროტ-მოქმედება ჩაიდინა ამ კანონის გამოცემამდე. კანონის მოქმედება უნდა იწყებოდეს მხოლოდ დღიდან მისი დაწესებისა.

ხმის უმეტესობით შესწორებანი უარყოფილი იქმნა.

კანონ-პროექტი სიკვდილით დასჯის შესახებ მიიღო ყველამ, გარდა სამისამ, ოთხმა თავი შეიკავა.

რ. გაბაშვილი მთავრობას შეკითხვას უდგენს. ჩვენ გვეგონა ახმეტელის ბრალდებას მთავრობა გააბათილებდა, მაგრამ ეს არ მოხდა. ჩვენი მთავრობა რამდენადაც მკაცრად ექცევა ქართველს იმდენად ლმობიერია უცხოელებისადმი. ჩვენი მთავრობა არც კი სპობს ტფილისში არსებულს ბოლშევიკურ საოლქო კომიტეტს და ესენი დელეგაციების გზავნით ემაასლათებიან მთავრობას. ის პირები, რომლებიც აშკარა ბოლშევიკურ გამოსვლებს ახდენენ თავისუფლად დასეირნობენ ქალაქში. თიანეთის ამბები ჩვენმა ცნობებმა სხვანაირად დაგვისურათეს იქ შავრაზმული გამოსვლები კი არ იყო, არამედ მემარჯვენე პარტიის წევრები შეიარაღებულნი გამოვიდნენ ადმინისტრაციის დამცველად. ჩვენის ცნობებით წილკანის გმირი ავალიანი ყოფილი შანტაჟისტია და აი მთავრობა მას ენდობა და აძლევს უფლებას იარაღის აყრისას.

მთავრობა მაროდიორებს არ ებრძვის. ტრაპიზონში ფედერალისტების შეგნებულმა რაზმმა მარადიორობას მიჰყო ხელი და მთავრობამ ეს თუმცა იცოდა, მაგრამ არარა უღონია მათს წინააღმდეგ.

წინადადება შემოაქვს აირჩეს საპარლამენტო კომისია ამ ნაირ საქმეების გამოსაძიებლად.

შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი. მთავრობას უსაყვედურებენ, რომ მას ორნაირი საზომი აქვს ქართველებისათვის და არა ქართველებისათვის. ასეთი მიკერძოება შეუფერებელია მთავრობისათვის და სიმართლეს მოკლებულია. ოსეთში ზომების მაგივრად ლმობიერება გამოიჩინა მთავრობამაო—ეს ზერელე ახსნაა. იმ ხანად უნდა გადაწყვეტილიყო ბათომისა და რევოლიუციის საკითხი. ჩვენს მთავრობას ერთს ხელში ეჭირა მახვილი და მეორეში ლმობიერებით მოპყრობის საქმე აყოლილი ხალხისა.

ეს არის სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი. მთავრობა გადაჭრით აცხადებს, რომ ყველა ეს ანარქიული გამოსვლები მაზრებში არის ტფილისში არსებულ ბოლშევიკურ კრაევოი კომიტეტისაგან მოწყობილი. უდანაშაულო, გაუნათლებელი ხალხი აჰყოლია მის მტრებს. ასეთს დროს როგორ უნდა მოქცეულიყო მთავრობა? მხოლოდ და მხოლოდ მახვილით? ყოველნაირ მოძრაობას აქვს სტიქიური ხასიათი. დუშეთის მაზრაშიაც საქმე გვაქვს სტიქიასთან. ჩვენ შეგვეძლო იქ აჯანყებულების წინააღმდეგ დამსჯელი რაზმები გაგვეგზავნა, მაგრამ ეს გამოიწვევდა მაზრებშიაც გლეხების აჯანყებას. ჩვენ მივიღეთ ზომები ამყოლები მეთაურებისაგან გამოგვეთიშა. ჩვენ გაგვიმართლდა მოქმედება. მთავრობის სუსტმა ძალამ გაიმარჯვა დღეს თუ არა ხვალ შევალთ დუშეთში. მთავრობის სახელით ვაცხადებ, რომ განურჩევლად ეროვნების სიკვდილით დაისჯებიან ისინი, ვინც მოაწყო საინდენდანტო საწყობის გადაწვა.

საგუბერნიო კომისარმა რამდენჯერ მე გვაცნობა დუშეთის მაზრაში ბოლშევიკური გამოსვლები მზადდებაო. მთავრობა ცდილობდა მფრინავი რაზმების მოწყობას, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, რადგან გარეშე მტერთანაც გვქონდა საქმე და ის ნაწილები, რომელიც მფრინავ რაზმში უნდა შესულიყო, ხან სოხუმისაკენ და ხან ნატანებისაკენ იგზავნებოდა. კერძოთ თიანეთის მაზრაზე უნდა მოგახსენოთ, რომ იქ იქნებ მემარჯვენე პარტიის ოფიციალური წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ ვინმე გელოვანი კი, რომელიც წინად თავის თავს ნაც.-დემოკრატად სთვლიდა, მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებს.

ბათომისა და ოზურგეთის დაცემისა და გემ „კარლოსის“ გაძარცვის შესახებ გამოძიება სწარმოებს. არავითარ ლმობიერებას ადგილი არ ექნება, როდესაც რომელიმე თანამდებობის პირს შეეხება საქმე, მთავრობა არ მიჰხედავს მის მსოფლმხედველობას.

გ. წერეთელი. ყოველი მთავრობა ერთი მეორესა ჰგავს. ფსიქიკა ერთი აქვს. თქვენს კომიტეტებს არაფერი გაუკეთებიათ. კომისრების გადაყენებას ანარქია მოჰყვება ხოლმე. დღეს თიანეთის მაზრაში არეულობა მოჰყვა კომისრების გადაყენებას. უმთავრესი მიზეზი ანარქიისა არის უმოქმედობა ან შეუსაბამო მოქმედება მთავრობისა. დაინიშნოს საპარლამენტო კომისია ანარქიის მიზეზების გამოსარკვევად.

ალ. ლომთათიძე. ბ. გაბაშვილის გამოსვლებს ერთი მიზანი აქვს მოწინააღმდეგეს თავს ესხმის და დამამტკიცებელი საბუთებით კი არ მოჰყავს. დღევანდელი მისი სიტყვა ლიტონ სიცრუეზეა აგებული, რა—კავშირი აქვს ბათომის დაცემას, ფედერ. რაზმის მოქმედებას დღევანდელ მთავრობის მოქმედებასთან. საბაბი ხელთ იგდო და მთელი ცოდვები გამოაშკარავა.

ნუ დაგავიწყდებათ ბ-ნო გაბაშვილო ბათომის დაცემა ვისი მიზეზით მოხდა. ეს თქვენ სარდალს მოჰკითხეთ. იწონებს ჯავის ხეობაში და დუშეთის მაზრა მთავრობის მოქმედებას. თქვენ მთავრობას არ ენდობით და ამიტომ გინდათ საპარლამენტო კომისია. ეს მე ზედმეტად მიმაჩნია.

შემოიტანეს რეზოლიუცია: ეროვნულმა საბჭომ მოისმინა რა მთავრობის განმარტება ახმეტელის შეკითხვის გამო იწონებს მას და გადადის მორიგ საკითხებზე.

გაჩნაძე. მოითხოვს ტრიბუნიდან დასახელებულ ყველა დამნაშავის სამართალში მიცემას.

გაბაშვილი. ყოველივე ბრალდებას ს. დადიანისას სიცრუეთ ვთვლი და ვიწვევ მას სამართალში. მიიღეს რეზოლიუცია ს. დ—ისა, რითაც იწონებენ მთავრობის განმარტებას რ. გაბაშვილის შეკითხვაზე.

სამხედრო მინისტრი გიორგაძეს მიუღებლად მიაჩნია ნაც.-დემოკრატების წინადადება ყველა რუს ოფიცრების ერთად მოხვეტა და გემით გასტუმრება. სთხოვს ნაციონალურს ნიადაგზე ნუ გადავლენ.

სხდომა დაიხურა ღამის 1 საათ. ამხ. სამსონ დადიანის სიტყვას ხვალ დავბეჭდავთ.

## სოფლად და ქალაქად

### ფოთი.

✦ 25 ივნისს ქალაქის გამგეობამ და ნავთსადგურის კომისიამ შემდეგი დაადგინა: გაიცეს გემი „ნაში“ იჯარით 6 თვით, სურსათის და მგზავრების გადასატან-გადმოსაყვანად. მოიჯარემ ქირა უნდა იხადოს თვეში 5.000 მან. და მგზავრებიდან აღებული ქირის 60%. ყოველივე ხარჯი, როგორც გემზე მოსამსახურეებისა, აგრეთვე სამუშაო მასალის სრულიად უნდა გაიღოს დამქირავებლის ხარჯით, როგორც საბჭოდრო, აგრეთვე სხვა უბედური შემთხვევისან. გემი ჩაბარდება დამქირავებელს სრული შეკეთებული ყოველივე მოწყობილებით და ამავე მდგომარეობაში უნდა დააბრუნოს ვადის გასვლის შემდეგ.

დამქირავებელი ვალდებულია იჯარის პირობის უზრუნველსაყოფად შეიტანოს ქალაქის სალაროში გირაოდ ნაღდ ფულად ან ქონებით ოც-დაათი ათასი მან. (30,000 მან.)

გემი „ნაში“-ს გარდა ნავთსადგურში იმყოფება კიდევ რამდენიმე გემი, რომელიც შეიძლება გაიცეს იჯარით ამავე პირობებში, ხოლო განსხვავება იქნება იჯარის ქირის რაოდენობაში, იმისდა მიხედვით თუ რომელი გემი რამდენ ტვირთს იტევს. ყოველივე ცნობების მიღება ამ საქმის წარმოების შესახებ, მსურველს შეუძლია მიიღოს ქალაქის გამგეობის კანცელარიაში დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათამდე.

## ჯავახეთ-მესხეთის ლტოლვილთა მდგომარეობა

ჩვენის მთავრობის განკარგულებით ამ რამდენიმე ხნის წინად 20,000 მ. გადასცა ალ. ლორთქიფანიძეს და გაიგზავნა იგი რათა მას შეესწავლა ახალციხე-ჯავახეთის ლტოლვილთა მდგომარეობა და პირველი დახმარება აღმოეჩინა. ბ-ნს ლორთქიფანიძეს რამდენადაც მას გარემოებამ ხელი შეუწყო დავალება შეუსრულებია და უკვე დაბრუნდა ტფილისში. მისი სიტყვით აუწერელია მდგომარეობა ლტოლვილებისა ბაკურიანის ხეობაში. ხალხი ცის ქვეშ ყრია და მოსავალის ნაკლებულობისა გამო გაჩენილა ავადმყოფობა, სიმშილი და სხვა უბედურება. აქ ბაკურიანში უკვეა თურმე ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტი, რომელსაც კავშირი აქვს სათანადო დაწესებულებებთან და განაგრძობს მუშაობას ხალხის საპატრონოდ. აქედან რწმუნებული წასულა ბორჩალოს მაზრისაკენ სადაც კიდევ უფრო საშინელია სურათი ლტოლვილთა უბედურებისა. ჯავახეთ-მესხეთიდან ბორჩალოს მაზრის სოფელ რეხასა, ხანდოსა და არვანში ლტოლვილთაგან თავი შეუფარებია 2000 სულს გუშინდელნი მეოჯახენი სავსე პურითა და ცხოვრებით დღეს ხელ გაშვერილნი დაძრწიან განუკითხველად. რწმუნებულმა ბ. ხ. ლორთქიფანიძემ თან ჩამოიტანა სანიმუშოდ მინდვრის ენძელა მწარე ბალახი, რომლითაც უპურობისა გამო იკვებება ხალხი. შედეგად ცუდი კვებისა გაჩენილა სხვა და სხვა სენი და დღეში არა ნაკლებ 4—5 სულისა კვდება თურმე. ხალხს თავი შეუფარებია ბოსლებსა და ნანგრევებში. ხშირად ერთს პატარა ქოხში სამი ოთხი ოჯახია თავშეფარებული და უპატრონობისა გამო ერიან არეულნი ერთმანეთში ჯანმრთელნი და გადამდებ სენით ავადმყოფნი. არსიდან მათ არავითარი დახმარება არც საექიმო და არც გამოკვება—ბინა სხვრით. რწმუნებულს როდესაც დაუვალია ლტოლვილთა ყველა ნაწილები და გამოურკვევია პირველ და საჩქარო რიგის საჭიროებანი როგორც მაგალ. სურსათის მიწოდება და საექიმო დახმარება, რამდენიმე დეპეშით იქიდან მოუმართავს როგორც მთავრობისათვის ისე საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობისთვის და უთხოვნია საჩქარო დახმარება. აღნიშნული სოფლები 120 ვერსის მანძილითაა ტფილისზე დაშორებული და თუ გავითვალისწინებთ უგზოობას დახმარებას დროზე ვერ მიუღწევია. ამაების მოლოდინში ბ-ნი ლორთქიფანიძე შესდგომია ადგილობრივი ძალებით საქმის მოგვარებას. შეუკრებია ხალხი, უცნობებია მიზანი მისი იქ მისვლისა, ვინაობა და განუმარტავს ვიდრე მთავრობა მოგვეშველება ჩვენ მოვეწყოთ აქ ისე რომ ავადმყოფობა არ გავრცელდეს და კიდევ უფრო დიდი უბედურება არ დაგვატყდეს თავსაო. პირველ ხანში მისი წინადადებით ხალხს ამოურჩევია დამხმარე კომიტეტი, რომელიც შესდგომია უფრო გაჭირვებულთა მდგომარეობის შესწავლას და ამათთვის აღმოუჩენიათ მთავრობის თანხიდან ნივთიერი დახმარება, დამხმარე კომიტეტი ამასთანავე შესდგომია ზრუნვას ბინების სისუფთავეს მოსაწესრიგებლად. შეკითხვაზე ჯავახეთისაკენ დაბრუნების შესახებ ხალხი ჯერ ყოყმანობს რადგანაც ჩვენს ხალხს უკვე უწვნევია ბარბაროსული თარეში და გამეტებით რბევა და ხოცვა ოსმალეთის ჯარის „კურთხევით“ ადგილობრივ თათრებისაგან და სხვათაგან. რწმუნებულს გამოურკვევია მთელი საქმის ვითარება და მთავრობას რკვე წარუდგინა თვისი მოხსენება თუ რით და როგორ დაეხმარონ დამწუხარებულს ჩვენს თანამოძმეებს.

ლტოლვილებთაგან [illegible] ჯავახეთიდან წამოუსხავს ცხვარი და შინაური პირუტყვი. მაგრამ წარმოიდგინეთ უმწეო მდგომარეობა მათ აქაც არ ასვენებენ თურმე. ადგილობრივი ოსები იმდენს გაპირუტყვებამდე მისულან, იმდენად გამხეცებულან და ჩაჰკვლიათ გულში მადლი ქართველთა პურმარილიანობისადმი, რომ ათას უბედურებით გატანჯულ ლტოლვილებს არ ინდობენ და დახმარებას ვინდა სჩივის მოსვენებას არ აძლევენ და სტაცებენ ცხვარსა, ხარსა, ძროხასა და სხვა. საჭიროა მეტი გაბედული ნაბიჯები დავიცვათ თავი: გვეყო ამდენი მოთმინება; ის ვინც საქართველოს რესპუბლიკას ღალატობს, ის ვინც ჩვენს მიწა-წყალზე მოსულებულა ისე უმადლოდ, ისე გაუტანლად როგორც ეს უკვე გამოირკვა და ირკვევა კიდეც ჩვენ მათ ვეღარ დავინდობთ და ღონისძიება ყოველივე პრაქტიკულად დაუყონებლივ გატარდეს ცხოვრებაში, რომ ეს უსინიდისო მეზობლები აილაგმონ. ბორჩალოსა და გორის მაზრის შუა გაფანტული ოსობა ძლიერ შეიარაღებულია თურმე და დროს უცდიან ცხვრის მტაცებლობიდან გადავიდნენ პოლიტიკურ გამოსვლაზე; რასაც შინაური ჩვენი მტრები ნიადაგს უმზადებენ.

## ბათომ-ახალციხის მნიშვნელობა.

ჯერ კიდევ ბათომი დაცემული არ იყო, რომ მთელი ქართველი ერი და ამიერკავკასიის მთავრობა დასტიროდა ამ ქალაქს, დასტიროდა, გლოვის ზარსა რეკდა და მოუწოდებდა ხალხს: მოგვეშველეთ დავიცვათ ბათომი, ურომლისოდაც ჩვენ არსებობა არ შეგვიძლია, ვინაიდან ბათომი არის კარი საქართველოსი, კარი ამიერკავკასიისაო.

ამ გოდების და ტირილის დროს ქართველ ერს და ჩვენს მთავრობას ავიწყდებოდა, თუ შეიძლება ითქვას, უფრო მნიშვნელოვანი კარი—ახალციხე; ავიწყდებოდა იმ დროს, როდესაც ჩვენ ახალციხიდან გავიძახოდით: გვიშველეთ თორემ ამიერკავკასიას და კერძოთ საქართველოს უახალციხოთ არსებობა არ შეუძლიანო, მაგრამ ჩვენ ამოძახილს ანგარიში არავის გაუწია. და აღ არ გაუწია, ვითომ ახალციხეს და მის მაზრას, შედარებით ბათომთან, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდეს ამიერკავკასიისთვის და სწორეთ ეს ანგარიშის გაუწევლობა იყო, რომ დღეს ახალციხე ჩვენ ხელთ არ არის.

ამიერკავკასიამ და საქართველოს ბედმა უღალატა, უღალატა და გამოჰგლიჯა ხელიდან ბათომი, ბათომი როგორც პორტი, ბათომი საქართველოს-ჰამბურგი და ბათომი როგორც საქართველოს ერთი ლამაზ ქალაქთაგანი,

## საქართველო და გერმანია

(გაგრძელება *)

იმპერიალიზმი მხოლოდ გერმანიის პროგრამა კი არ არის, როგორც ამას ამტკიცებენ ფარვანა ჟურნალისტები, მკითხველის გასაღიზიანებლად რომ სწერენ ხოლმე უდღეურ წერილებს, არამედ ამავე გზას ადგენენ და ადგიან კიდეც ინგლისი, შეერთებული შტატები, იტალია, იაპონია, რუსეთი (?) და სხ... გარჩევა მხოლოდ იმაშია, რომ გერმანია ყველაზე მეტ შეუროგებლობას, სიმტკიცეს და უნარს იჩენს. ეს დღეს უმთავრესად უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ არც ერთ სახელმწიფოში არ არსებობდა ისეთი წინააღმდეგობა შინაურ კაპიტალისტურ წარმოებასა და გარე სავაჭრო პოლიტიკას შორის, როგორც გერმანიაში. აი გაკვრითი ციფრები: ზემოდ ჩვენ ვნახეთ სახელმწიფოს სივრცე.

ახლა ვნახოთ მცხოვრებთა რიცხვი და მისი ზრდა, რაშიაც გერმანია განსაკუთრებულ ადგილს იჭერს.

1871 წ. გერმანიაში ითვლებოდა:
40.060.792 კაცი.
1910 წ. „ „ 64.925.993 „
40 წ. განმავლობაში გერმანიამ იმატა
24.865,201 „
ე. ი. გამრავლდა 58,1%.

ამ უკანასკნელ 15 წელს, წლიურად გერმანიას ემატებოდა დაახლოვებით . . 843 ათასი კაცი,
ინგლისს . . . 323 „ „
საფრანგეთს . . . 46 „ „

მაგრამ მიუხედავად ამ გაძლიერებულ ზრდის, გერმანია მაინც ხალხს გარედ არ უხიდებოდა, მოზარდი ხალხი შიგვე დარჩა, გერმანიის საზღვრებში. აგრარულ, ანუ სოფლის მეურნეობის სახელმწიფოებში ეს არ მოხერხდებოდა, როგორც მაგ. რუსეთში, იტალიაში, ვენგრიაში. თვით ინგლისიც კი ვერ გაუძლებდა ასეთ სასწრაფო ზრდას და ვერ მოაწესრიგებდა ხალხის საზრდოობას. მაგრამ გერმანიამ ეს მოახერხა, და მოახერხა წარმოების და ვაჭრობის გაძლიერებით. თანაც გერმანიამ სოფელს კი არ მიუმატა ხალხი, რისთვისაც მას დიდი მიწის ფონდი დასჭირდებოდა, არამედ ქალაქს, და სოფლელები ქალაქელებად აქცია. მოხდა მცხოვრებთა ე. წ. ურბანიზაცია. 1871 წ. რომ სოფლის ხალხი შეადგენდა ორ მესამედს მთელი ხალხისას, 1905 წ. ეს მხოლოდ ეს დიდი რიცხვი 42 პროცენტზე დავიდა. ქალაქის მცხოვრებნი კი თუ 1871 წ. ერთ მესამედს შეადგენდნენ, 1905 წ. ნახევარზე მეტს, მცხოვრებთა მთელ რიცხვისას.

ამ გარემოებამ ხელი შეუწყო საქალაქო წარმოების განვითარებას, და ამ გზით გადაწყდა უმიწობის საკითხიც. და თუ დღეს გერმანია ახალშენებს ეძიებს, არა ემიგრაციისთვის, არამედ სავაჭრო ბაზრის გასაფართოებლად.

ახლა ვნახოთ თუ როგორ ვითარდებოდა გერმანიაში ეკონომიური მხარე.

გზების სწრაფი განვითარება ასეთია 40 წლის განმავლობაში: (ე. ი. 1870—1910 წლამდე). 1870 წ. რკინის გზათა სიგრძე გერმანიაში უდრიდა 19,575 კილომეტრს, 1910 კი 59,763 კილ. გაიზარდა მაშასადამე 153 პროც.

1871 წ. გერმანიას ჰქონდა 180 გემი, საერთო ზომით 89,000 ტონიანი, 1913 წ. კი 2,400 გემი, 2.757,000 ტონიანი. ე. ი. იმატა 3,000 პროც.

შემდეგ: ქვა-ნახშირს იმუშავებდნენ
1885 წ.— 73 მილ. ტონს,
1913 წ.—191 მილ. ტონს,
თუჯს 1885 წ.— 3,7 მილ. ტონს.
1913 წ.—19,3 მილ. ტონს.

უკეთესია ეს ზრდა შედარებით წარმოვიდგინოთ. ნახშირი:

| წ—ბი | გერმ. | ინგ. | საფრ. | შეერთ. შ. |
|---|---|---|---|---|
| 1890 | 89,291 | 184,529 | 26,084 | 143,127 |
| 1911 | 234,521 | 276,255 | 39,230 | 450,165 |

ე. ი. გერმანიამ ზრდაში ინგლისს აჯობა 162 პროცენტით.

ახლა ვნახოთ თუჯი:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1890 | 4,658 | 8,031 | 1,962 | 9,350 |
| 1911 | 17,853 | 10,033 | 4,872 | 30,203 |

ე. ი. გერმანიაში გაიზარდა სამჯერ, ინგლისში კი მხოლოდ 25 პროცენტით.

რკინა და ფოლადი:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1890 | 3,80 | 5,30 | 1,41 | 4,13 |
| 1911 | 14,56 | 6,88 | 3,22 | 24,06 |

ე. ი. 20 წლის წინად ინგლისს ეჭირა პირველი ადგილი, 20 წლის შემდეგ კი გერმანიამ ერთი ორად აჯობა ინგლისს. საგარეო სურათი ასეთი იყო:

| | იმპორტი (შე—ნა საქონლისა) | ექსპორტი (გატანა) |
|---|---|---|
| 1885 წ. | 2,937 მილ. | 2,895 მილ. |
| 1913 წ. | 10,695 მილ. | 9,912 მილ. |

საერთოდ კი ეროვნულ სიმდიდრის ზრდა ასე გამოიხატება: 1872 წ. იგი უდრიდა 70 მილიარდ მარკას, 1913 წ. უდრიდა 300 მილიარდს. ე. ი. 40 წლის განმავლობაში გაიზარდა ერთი ხუთად. ეს მოკლე ცნობები საკმარისია, გერმანიის კაპიტალისტურ წარმოების გაფართოებულ ზრდის ნათელსაყოფად. ამ ცნობებითვე შეგვიძლიან ავხსნათ თვით გერმანიის აგრესიული იმპერიალისტური პოლიტიკაც, საოცრად გაზრდილი საწარმოვო და ფინანსიური კაპიტალი—რომელმაც საექსპორტო კაპიტალიზმის სახე მისცა გერმანიის იმპერიალიზმს, ერთი მხრივ თუ გერმანიის მცხოვრებთათვის სჭობს სხვაგან საზრდოს ძიების აუცილებლობას, მეორე მხრივ მოითხოვს ვრცელ ბაზარს, სადაც მას საშუალება ექნება ატრიალოს უხვად დამზადებული საქონელი.—აქ იწყობა გერმანიის სავაჭრო პოლიტიკა, რომელზედაც არის დამყარებული ჰოგენცოლერნთა იმპერიის ყვავილობა. ეს სავაჭრო პოლიტიკა კი თითქმის მთლიანად გარედ მოიქცა, რადგან შინა აწარმოებელთ კარტელთა და ტრესტთა შექმნით მოესპოთ კონკურენციის საშუალება. ამ ტრესტებმა და სინდიკატებმა სახელმწიფოს შიგნით მონოპოლია მოიპოვეს, და მასსიურ წარმოებას დღითი-დღე აგიდებენ. და ამ პირობებში სხვა სადღა უნდა მოძებნონ კონკურენტები, რაც ასე აუცილებელია კაპიტალისტურ წარმოებისთვის, ან და სად უნდა გაასაღონ ის დიდი დოვლათი, რომელსაც შეუძლიან მორწყოს მთელი ქვეყანა? მასსიურ წარმოებას მასსიურივე გასაღება ეჭირვება. ამ უკანასკნელისთვის კი დიდი სავაჭრო ველია საჭირო. აქვს ეს გერმანიას? არა. გადასახადთა მაღალი კედლები, რომლითაც შემოსაზღვრულნი არიან სხვა და სხვა სახელმწიფონი, უსპობენ გერმანიას ამ საშუალებას. მიტომაც გერმანია ეძიებს ამ ბაზარს, ევროპის გარეშე, იქ, სადაც წარმოება არ არის განვითარებული. აქედან იწყება გერმანელთა საკოლონიო პოლიტიკა. მაგრამ საითაც გაიხედა გერმანიამ, ყველგან შემბორკავი ძალა დაინახა. ყველგან გადაეღობნენ, გერმანიას სურდა სამხრეთ ამერიკის ბაზარს დაჰპატრონებოდა—შეერთებული შტატები ჩაუდგნენ კრიჭაში. სცადა აზიაში გავლენის მოპოვება. ამ მიზნით ცნობილი დამსჯელი ჩინეთის ექსპედიციაც მოაწყო, მაგრამ იაპონიამ არ გაუშვა. ჩრდილო აფრიკის ბაზარს მიაპყრო თვალი, მაგრამ გერმანია აქაც ვერას გახდა. მაროკოს ავანტიურამ უნაყოფოდ ჩაიარა, და პირველობა მაინც საფრანგეთს დარჩა. რაღა გზა ჰქონდა გერმანიას?—ერთად ერთი ოსმალეთი, მაგრამ ეს განა საკმარისი იყო ზღაპრულად მოზარდ გერმანიისათვის? არა ევროპა როგორც ბაზარი არ იყო იმდენად საინტერესო, როგორც ევროპის გარეშე ადგილები, სადაც სოფლის მეურნეობაა ჯერ კიდევ გამეფებული. ხოლო რადგან მშვიდობიანი გზით სიარულმა ნაყოფი ვერ მოიტანა, ძალა უნდა ეცადნა, გერმანიას. მხოლოდ „მანუ მილიტარი“ შეუქმნიდა გერმანიას ახალ ბაზარს. და გერმანიამაც ეს ნაბიჯი გადადგა.

ორი მომენტია აღსანიშნავი გერმანიზმის განვითარების პროცესში: 1) საკუთარ საზღვრებში გაერთიანება და განმტკიცება. 2) ეკონომიური სარბიელის გაფართოება, რომელსაც ბოლოს „აღმოსავლეთის ცივილიზაცია“ უწოდეს. პირველი ხანა განვლილია, დარჩა მეორე, და ისიც განხორციელების ხანაში იმყოფება. „აღმოსავლეთის ცივილიზაცია“ კი მიტომ უწოდეს, რომ აღმოსავლეთისკენ იყო მომართული მათი თვალები. რა უყოთ რომ რუსეთი და ინგლისი წინ გადაეღობებოდნენ. გერმანია რკინით და სისხლით შეეცდებოდა რომ რუსეთისთვის ჩაეკლა ოცნება ეგეის ზღვის გახსნის შესახებ, ინგლისისთვის კი ხელიდან გამოეცალა ოსმალეთი, რომელიც ინგლისს სჭირდებოდა როგორც ინდოეთის გზის საზღვაო დარაჯი, რუსეთის საფრთხის ასაცილებლად. თუ გერმანიის გამოსვლამდე „ბოსფორის ავადმყოფზე“ მხოლოდ რუსეთ ინგლისი ზრუნავდნენ“, გერმანიის გამოსვლის შემდეგ სხვა გვარად შეტრიალდა საქმე. რუსები სულ იმის ფიქრში იყვნენ, რომ ოსმალეთ აზიისკენ წიეკუნჩათ, სტამბოლ-სრუტეებს კი თვით დაჰპატრონებოდნენ. ინგლისი კი წინააღმდეგ ხონთქარს ექომაგებოდა და უნახავდა როგორც სტამბოლს ბოსფორზე, ისე სალონიკებს ეგეის ზღვაზე. გერმანიამ ერთიც გააბათილა და მეორეც. თვით გახდა სარჩლი ოსმალეთს, და „ავადმყოფ კაცის“ მფარველის როლი იკისრა. რას მისცემდა ეს „მფარველობა“ გერმანიას? უდიდეს და ჯერ გამოუყენებელ ბაზარს მახლობელ და შუა აღმოსავლეთში, და სწორედ ამ გზის გაყოფას შეუდგნენ ენერგიულად და მუყაითად, ეს იგივე ბისმარკის პოლიტიკაა, რომელსაც დღეს ვილჰელმი ახორციელებს. მცირე აზიაში [illegible], ბაღდადის რკინის გზა და სხ.. ყველა ეს იმ დიდი და მოფიქრებულ გეგმის ეტაპებია, რომელიც სწრაფი თანდათანობით სცვლის ევროპის პოლიტიკას. ეს გეგმა კი არსებითად იგივეა, რაც ნაპოლეონს უკარგავდა სულის მშვიდობას.

და რაც ნაპოლეონმა ვერ შესძლო იმას ჯერ-ჯერობით ასრულებს გერმანია. მით უმეტეს, რომ ობიექტიური

*) იხ. „სახალხო საქმე“ № 272.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ვიცით რითი გათავდება მსოფლიო ომი და დარჩება თუ არა ბათომი სამუდამოთ ოსმალეთის ხელში, ამას მომავალი გვიჩვენებს, მხოლოდ ბათომის გარდა, ამიერკავკასიას და საქართველოს რჩება მნიშვნელოვანი შავ ზღვაზე გასასვლელი კიდევ ერთი პორტი (თუ არ მივიღებთ მხედველობაში სოხუმსაც)—ქ. ფოთი ასე, რომ ამ ქალაქს თავისუფლად შეუძლია გაუწიოს ამიერკავკასიას და საქართველოს ის სამსახური, რასაც დღემდის უწევდა ჩვენი ულამაზესი ბათომი—ჰამბურგი, რომლის უპირატესობა იმაში გამოიხატებოდა, რომ ის როგორც, ოსმალეთის საზღვრიდან, პირველი ნავთ სადგური, იყო მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი და რადგანაც ის არსებობდა საბაჟო დაწესებულება ამიტომ ამიერკავკასია ბათომით აწარმოებდა აღებ-მიცემას ევროპის სახელმწიფოებთან.

გულახდილად უნდა ითქვას, რომ ქ ფოთი საქონლის გაზიდვა შემოზიდვაში რუსეთთან გაცილებით უფრო მეტს მუშაობდა, ვიდრე ბათომი. თითქმის მთელი საქონელი რუსეთიდან შემოჰქონდათ ამიერკავკასიაში მარტო ფოთით, ვინაიდან ამ გზით რკინის გზა მოკლე იყო და საქონლის გზის ხარჯიც იაფი ჯდებოდა. ამავე გზით გაჰქონდათ რუსეთში საქონელი და თუ ყოფილა შემთხვევა, რომ საქონელს ამიერკავკასიიდან გზავნიდნენ ბათომითაც, ეს აიხსნება მხოლოდ იმით, რომ ბათომი როგორც პირველი ნავთ საყუდელი პირველად იქიდან გადიოდნენ რუსეთში საბარგო და სამგზავრო ნავები და არა ფოთიდან.

ჩვენც ვსტირით და ვგლოვობთ ბათომის დაკარგვას, როგორც საქართველოს ტერიტორიის ერთი ულამაზესი ნაწილისას, მხოლოდ ვერ გაგვიბედნია იმის თქმა, რომ ამიერკავკასია და კერძოთ საქართველო უბათომოთ ვერ იარსებებს, ვერ გაგვიბედნია ამის თქმა, ვინაიდან გვწამს, რომ ბათომის მაგივრობა, სოხუმის გარდა, შეუძლია გაგვიწიოს ქალ. ფოთმა.

შედარებით ბათომთან სულ სხვა მნიშვნელობა აქვს ახალციხეს და მის მაზრას.

არ შევეხებით ისტორიულ და სტრატეგიულ მხარეებს, მხოლოდ ვიტყვით, რომ ახალციხე თავის მაზრით მდიდარია ხე-ტყით, [illegible], ბაღებით და სხვა, რომლებითაც სარგებლობენ ამიერკავკასიის ქალაქები და რუსეთიც. არ ყოფილა დღე, რომ ახალციხიდან არ გაეტანოთ ტფილისში ორი-სამი ვაგონი დამზადებული სამშენებლო ხის მასალა. არ გაუვლია ისეთ შემოდგომას და გაზაფხულს, რომ ახალციხის მაზრიდან არ გაეზიდნოთ ტფილისისკენ მდინარე მტკვარით, ხე-ტყე ტივებათ შეკრული.

იზრდება ტფილისი, იზრდება შენობებით, რომლებიც შენდება მხოლოდ და მხოლოდ ახალციხიდან გაზიდულ ხის მასალით. ტფილისში, ჩერქეზიშვილის ქუჩაზე შეხვდებით ხის მასალის საწყობებს, ამ საწყობებში ხის მასალა ახალციხიდან არის გატანილი. შეხვდებით ტფილისშივე მტკვარზე ტივებს, ესენიც ახალციხის მაზრიდანაა ჩატანილი.

ახალციხე თავის მაზრით იძლევა დიდ ძალ ქართოფილს- არ გვახსოვს ისეთი დღე, რომ ტფილისისკენ, ქუთაისისკენ და სხვა დაბა-ქალაქებისკენ არ გაეტანოთ ახალციხიდან რამდენიმე ვაგონი ქართოფილი, რომელმაც ამ შიმშილის დროს დიდი სამსახური გაუწია ამიერკავკასიის დაბა-ქალაქებს.

ახალციხის მაზრა განთქმულია თავისი ბაღებით, რომლებიც იძლევიან დიდძალ ხილს, უმეტესად ვაშლს. მთლად ეს ვაშლი გააქვთ ადესაში, როსტოვში და რუსეთის სხვა ქალაქებში.

მოსკოვში, ვარშავაში და პეტროგრადშიც კი, როგორც საუკეთესო ხილი, განთქმულია ახალციხის ვაშლი.

ახალციხეშივე, ებრაელების უბანში, მიწიდან ამოდის წყალი, რომელსაც ეძახიან „დამპალ წყალს“- ჩვენი და საზღვარგარეთელ ექიმების შემოწმებით ეს წყალი ბევრათ სჯობია „ინგლისურ მწარე წყალს“. საჭიროა მხოლოდ ამ წყლის დამუშავება და ამიერკავკასიას ინგლისიდან „მწარე წყლის“ მოტანა აღარ დასჭირდება.

ახალციხიდან და მის მაზრიდან კიდევ ბევრს რასმეს ეზიდებიან ამიერკავკასიის დაბა-ქალაქებში, მაგალითად: ერბოს, კვერცხს, თეთრ მიწას (ინფუზორნაია ზემლია) და სხვა.

ახალციხე და მისი მაზრა განსაკუთრებით საყურადღებოა და შესანიშნავია მშრალი და სუფთა ჰაერით, მდიდარია მჟავე და რკინის წყლებით, მდიდარია აბასთუმნით და ურავლით, სადაც ყოველ ზაფხულს სხვა და სხვა შორეულ კუთხიდან ავადმყოფები მოდიან გასაკურნებლათ.

ერთი სიტყვით, ახალციხე თავის მაზრით მდიდარი და შესანიშნავია სუყოველისფრით.

დავკარგეთ ბათომი, მაგრამ ჩვენს ხელშია ფოთი-სოხუმი და საქართველოს შეუძლია იარსებოს. მაგრამ თუ დავკარგავთ ახალციხეს თავის მაზრით, განა შეუძლია ამიერკავკასიას და საქართველოს არსებობა? რომელი ქალაქი და აგარაკი დაიჭერს ახალციხე აბასთუმნის ადგილს? განა მოიპოვება მსგავსი თავისი სიმდიდრით ახალციხის მაზრისა, რომელსაც შესძლებდეს უკანასკნელის მაგიერობას?

თუ კარგად დავაკვირდებით ზემოდ დასმულ კითხვებს და გავითვალისწინებთ, თუ რა მდგომარეობაში ჩავარდება ამიერკავკასია და საქართველო ახალციხის და მისი მაზრის დაკარგვით, დავინახავთ, რომ საერთოდ ამიერკავკასიას და კერძოთ საქართველოს და დედაქალაქ ტფილისს, უახალციხოთ არსებობა არ შეუძლია, დიახ არ შეუძლია, ვინაიდან ახალციხის და მისი მაზრის მაგივრობას, ვერც ერთი ქალაქი და მაზრა ვერ გასწევს.

ალმოსავლეთელი

# საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის კომისიის საყურადღებოდ

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ყველა სახაზინო დაწესებულება და ქონება, რომელიც იმყოფება რესპუბლიკის ტერიტორიაზე, უნდა წარმოადგენდეს მის საკუთრებას, რის შესახებაც ჩვენმა მართველობამ უკვე ოფიციალადაც გამოაცხადა.

მაგრამ თქმა, გამოცხადება, ერთია—საქმის გაკეთება კი მეორე. ჩვენდა საუბედუროდ ბევრი არამთუ წვრილი დაწესებულება არამედ ისეთიც, რომელსაც აქვს დღეს და მომავალშიც არ ექნება მცირე მნიშვნელობა ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, დღემდის თითქმის სრულიად უპატრონოდ რჩება და სანამ მას ჩვენი მთავრობა მოუვლიდეს თვისი სანდო მოხელეების სახით, მათ მაგივრად უკეთეს შემთხვევაში დაიკარგება მხოლოდ ქაღალდები, არქივ—„დელო“-ები. ამ გვარი მაგალითი არა ერთი და ორი უკვე იყო. დღეს აღარავისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოებას ის გარემოება, რომ დიდი უმრავლესობა რუს-მოხელეებისა, რომელნიც დამხობილ რეჟიმის დროს სარგებლობდენ ჩვენში სხვა და სხვა პრივილეგიებით, თავს ბატონებად გრძნობდენ, ვერ ურიგდება ჩვენი ხალხის საუკუნოებრივ მონობისგან თავის დაღწევას, ჩვენი ერის სრულ თავისუფლებას. მათი ბატონური ფსიხიკა თავის დღეში ვერ შეურიგდება ასეთ მდგომარეობას და ყოველთვის იქნება მტერი ჩვენი მთავრობისა—სულერთია სოციალისტური იქმნება იგი, ბოლშევიკური, თუ უკიდურესი—რეაქციონური თუ კი იგი იქნება შემდგარი გუშინ ყოველ პოლიტიკურ უფლებას ერის წარმომადგენელთაგან, თუ კი იქნება ქართული. მათ რუსი პუგაჩოვი ურჩევნიათ—ქართველ წერეთლებს, თუ გინდ უკანასკნელთ დიდი პატივით ეპყრობოდეს მთელი მოწინავე რუსეთიც. სწორედ ამით აიხსნება, რომ ეს ბატონები არამთუ არ იღებენ არავითარ ზომებს სახელმწიფოებრივ ქონების დაცვისათვის, რომლის ძარცვამ ამ ბოლო დროს საარაკო ხასიათი მიიღო არამედ პირ-იქით—უსინიდისოდ სარგებლობენ ჩვენი მთავრობის მათდამი ნდობას და ხშირად სრულიად მოურიდებლად თითონაც ხელს უწყობენ. და იღებენ მონაწილეობას „ლიკვიდაციის“ წარმოებაში. ამგვარ მოვლენას ზოგან უკვე მიაქცია ყურადღება თვით საზოგადოებამ და ბოლო მოუღო ვაკხანალიას, ასე მოხდა, მაგალითად, ამ რამდენიმე დღის წინ სურამში სადაც ქალაქის თვითმართველობამ დაბეჭდა 160, საევაკუაციო პუნქტი და მიუყენა მცველები. მაგრამ ასეთი კარგი შემთხვევა ცოტაა და ამისათვის დიდიძალი ქონება იღუპება.

ერთ ერთი მნიშვნელოვანი დაწესებულება, რომელზედაც ჩვენ აზრადა გვაქვს მივაქციოთ ყურადღება ვისიც-ჯერ არს და აგრეთვე საზოგადოებისა. არის ტფილისის სამხედრო ჰოსპიტალი თავზე მეტია რაც ჩვენი დამოუკიდებელი მთავრობა არსებობს. მაგრამ ჯერ აქამდის არ არის გამორკვეული, ვის ექვემდებარება ეს სამკურნალო; ჰოსპიტლის გამგე მთავარ ექიმმა ჯერაც არ იცის ვის მიმართოს, ვინ არის მისი პირდაპირი უფროსი, უმრავლესობა ჰოსპიტლის სამეურნეო ნაწილის მოხელეებისა სამსახურს თავს ანებებს და, რომ მეტი აღარა ვსთქვათ, თავის მოვალეობის ასრულებას ძრიელ ზერელედ, გულგრილად ეკიდება და სათანადო ყურადღებას არ აქცევს იმ წარმოუდგენელ არევ-დარევას რომელიც სუფევს ჰოსპიტალში. ამით, რასაკვირველია, სარგებლობენ ყოველი ნაძირალები და ფლანგავენ, იტაცებენ სახაზინო, ხალხის ქონებას: თითქმის ყოველ დღე იკარგება აურიცხელი თეთრეული, ტანისამოსი, ფეხსაცმელი, ავეჯეულობა, ცხენები; ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც კი ასე თუ ისე წარმოადგენს რამე ღირებულებას. თავხედობა ქურდებისა იქამდე მივიდა, რომ ამ ბოლო დროს თითქმის ნახევარზე მეტი ელექტრონის ლამფების დახსნეს და დაამხელეს საავადმყოფო, რაც რასაკვირველია უფრო ხელ უწყობს მათ „საქმის“ წარმოებას. ჰოსპიტალში აღარ არის საკმარისი შესახვევი მასალა მძიმე არ მოიძებნება საკმარისი წამლები. იმ საავადმყოფოს ბევრ განყოფილებაში, რომელიც არსებობს ას წლიწადზე მეტს,—არ არის უბრალო „ჩოტკი“, რომ ხელი დაიბანონ. არ მოიძებნება მეორე ხალათი რომ ბინძური გამოიცვალოთ და არ შეჰყაროთ მითი ავადმყოფს ახალი სენი.

ამგვარ უწესობების მოსპობის შესახებ არა ერთხელ მიმართა მსახურთა ერთმა მცირე ჯგუფმა ჰოსპიტალში სანიტარულ მართველობას. ქართველ კორპუსის ექიმი დაგვპირდა გამოეგზავნა ყარაული, რაც მალე კიდეც შეასრულა, მაგრამ ყარაულმა, თუმცა იგი ძალზე მცირე იყო (სულ 7—8 კაცისაგან), პირველ დღესვე დაიჭირა ქურდი, რომელიც ღამე აპირებდა გაეტანა თეთრეული. იგი აღმოჩნდა ვაჭარი, რომელმაც განაცხადა რომ ოცდა ხუთი ახალი საექიმო ხალათი მომყიდეს ჰოსპიტალში მოსამსახურეებმა. აღსანიშნავია სხვათა შორის ის მოვლენა, რომ დღემდის ჰოსპიტლის საწყობების ზედამხედველ—მცველებად (კაპტინარმუსებად) არიან... ყოფილი ჟანდარმები.

ტფილისის ჰოსპიტალი წარმოადგენ ერთ ერთ დიდ სამკურნალო დაწესებულებას არამთუ საქართველოში არამედ მთელ ამიერკავკასიაშიც. მას უჭირავს ნავთლუღში რამდენიმე ქცევა ალაგი, 20-მდე ქვითკირის შენობა და მოწყობილია 1500-ზე მეტ ავადმყოფის მისაღებად. ჰოსპიტალს აქვს საკუთარი რენტგენის კაბინეთი, გვარიანად მოწყობილი წყლის სამკურნალო და სხვ. ამიტომ მას შეუძლია მომავალში დიდი სამსახური გაუწიოს საექიმო ფაკულტეტს, რომელიც ჩვენი მთავრობის დადგენილებით უნდა გაიხსნას დამდეგ სამოსწავლო წელში, ეს გარემოება გვავალებს უფრო ჯეროვანი ყურადღება მივაქციოთ მას ვიდრე ეს აქამდე იყო.

ჩვენის აზრით სანამ გამოირკვევოდეს ჰოსპიტლის მომავალი ე. ი. სანამ მოხდებოდეს მისი სრული რეორგანიზაცია ცხოვრების ახალი ვითარების ზედმიხედვით მის გადასარჩენად მიღებულ უნდა იქნეს დაუყონებლივ და აუცილებლად შემდეგი ზომები:

1. გაძლიერდეს ყარაული, რომელიც ეხლა ძრიელ მცირეა და არ ძალუძს თავის მოვალეობის შესრულება;

2, დანიშნულ იქმნეს კომისია ჰოსპიტლის ქონების ჩასაბარებლად და მის ასაწერად;

3, დანიშნულ იქმნეს სანდო მოხელეები და მოსამსახურენი სამსახურიდან მიმავალთა მაგივრად.

ვიმეორებთ რომ თუ საქმეს დროზე არ მოუარეთ და ეხლავე ამას ვერ მოვახერხებთ, ჩვენ სამკურნალოს მაგივრად, უკეთესს შემთხვევაში, დაგვრჩება მხოლოდ ცარიელი კედლები.

ვიმედოვნებთ რომ ჩვენი რესპუბლიკის ჯანმრთელობის უწყების უმაღლესი დაწესებულება მიაქცევს ამას ჯეროვან ყურადღებას.

ნ. მახვილაძე.

# საგანგებო კრება თელავში

თავისუფალ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში ანარქიის გამეფებამ, რომელიც საფრთხეს უმზადებს დამოუკიდებელ [illegible] რესპუბლიკას, ძრიელ დააფიქრიანა სოციალისტურ პარტიების წრეები და აამოძრავა მათი სამხედრო ძალები, რომ მებრძოლ რაზმების მიშველებით ხელი შეუწყონ რესპუბლიკანურ მთავრობას სწრაფად ჩააქროს ბნელი ძალების გამოსვლა.

ივნისის 29-ს საგანგებო დავალებით ჩამოსულ საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრთ კ. ანდრონიკაშვილის და რ. ჩიხლაძის მოწვევით მოხდა ყველა სოც. პოლიტიკურ პარტიების სხდომა, სადაც ანარქიის შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ გადასწყდა იმავე საღამოს მოეწვიათ ფართო საგანგებო პოლიტიკური კრება.

29-ს საღამოთ თელავის ზემ. გამგ. ამხ-ბის დარბაზში ამხ. ი. ქუმიურიძის თავმჯდომარეობით მოხდა სოც.-დემოკრატების, სოც. ფედერალისტების და დაშნაკცუტიუნის საგანგებო კრება, რომელზედაც დაესწრნენ წითელ გვარდიელები და სხვა პარტიების მებრძოლი რაზმები.

კრებაზე მოხსენება გააკეთეს საქართველოს მთავრობის წარმომადგენელთ რ. ჩიხლაძემ და კ. ანდრონიკაშვილმა, ილაპარაკეს პარტიების და წითელ გვარდიელების წარმომადგენლებმაც.

მოხსენებების მოსმენის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: სოც. დემოკ. ს.-ფედერალისტების დ დაშნაკ. პარტიების წევრთა შეერთებულმა საგანგებო კრებამ გაითვალისწინა რა სერიოზული მდგომარეობა რომელსაც განიცდის დღეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ის საფრთხე, რომელიც მოელის მას ანარქიისაგან, მიიღო რა ამასთან მხედველობაში რომ შეიარაღებულ ანარქიას წინ უნდა აღუდგეს ჩვენი ქვეყნის რევოლიუციონურ რაზმების შეიარაღებული ძალა დაადგინა. შეიკრას ქ. თელავში და მის მაზრაში შეიარაღებული წითელ გვარდიელთა ძალები, დაუყონებლივ გაიგზავნოს ქ. ტფილისში და მით გაუმაგროს ზურგი ჩვენ რესპუბლიკანურ მთავრობას ანარქიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

კრებამ აგრეთვე იქონია მსჯელობა იმ წითელ გვარდიელების და მებრძოლ რაზმების, რომელნიც ტფილისში წავლენ, ოჯახების დახმარების შესახებ და ერთხმად გადასწყდა, ვიდრე დაბრუნდებიან ასეთ ოჯახის წევრები, უზრუნველჰყონ მათი ცოლ-შვილი. მზრუნველობა დაევალა საგანგებოდ შემდგარ კომისიას, რომელშიაც შევლენ ყველა პარტიის ორ-ორი წარმომადგენელი. წარმომადგენლებს თვით პარტიები ირჩევენ, მხოლოდ ამ კრებაზე მეშვიდე წევრად სოც. რევოლიუციონერების მხრივ არჩეულ იქნა თელ. ქალაქის თავის მეუღლე ნინო ანდრონიკაშვილისა.

ამას გარდა დილით მომხდარ პოლიტიკურ პარტიათა კომიტეტების კრებამ გადასწყვიტა გააცხოველოს თავდაცვის კომიტეტის მოქმედება, შეავსო წევრებით მისი შემადგენლობა და დაავალა განსაკუთრებითი კრებების სისტემატიური მოხდენა თელავში და მაზრაში მშვიდობიანობის დაცვა. სიტყვამ მოიტანა და უნდა სიამოვნებით აღვნიშნო, რომ თელავის მაზრაში საერთოთ მშვიდობიანობაა, წლის სარჩო კარზეა მომდგარი და სოფლად გაცხოველებული მუშაობაა.

დავიწყებული.

# დაყოვნება შეუძლებელია

ეს რამდენი ხანია გაზეთები „ერთობა“ „სახალხო“ და სხვ. დაბეჯითებით მოითხოვენ სახელმწიფოს გაწმენდას მავნე ელემენტებისაგან, მაგრამ ჩვენი მთავრობა ძლიერ დინჯად იქცევა, რითაც დიდ დანაშაულს სჩადის ერის წინაშე. ჩვენი ქვეყანა რომ გაწმენდილიყო მავნე ელემენტებისაგან არ

---

პიროთებიც მეტად ხელს უწყობენ გერმანიას, რომ წინა აზიაში და კავკასიაში მოიმაგროს ფეხი, და ასე განამზადოს ხვალისთვის გამოსადეგი პოზიციები. ისტორიული პროცესი ისე შეტრიალდა. რომ გერმანიას უბრძოლველად უხდება ამ ძველ საოცნებო ადგილზე თავისი გავლენის დამკვიდრება, საქართველო, ამ ის ცენტრი, რომელიც [illegible] გერმანიას, როგორც დასაყრდნობი რამ ადგილი. და საქართველოც იძულებული იყო ეს ნაბიჯი გადაედგა. რატომ? მიტომ რომ ამ ომში, გოლიათ სახელმწიფოთა დევურ ჭიდილში პატარა და მოუწყობელი საქართველო ვერ შესძლებდა დამოუკიდებელ მონაწილეობას. რუსეთს მოუწყდა თუ მოსწყვიტეს, ეს კვლევის საქმეა. ხოლოდ რუსეთთან რომ აღარ არის—ეს ფაქტია. არც ამიერ-კავკასიის ერებთან მოხერხდა დარჩენა. ისლამიზმის გავარვარებული დროშა მაღლა მაღლა იწევდა, და მისი [illegible] ლამობდნენ იმ დროშის საქართველოს შტანდარდტათ ქცევას, მაგრამ ვით შეურიგდებოდა ამას გონება მახვილი საქართველო? არც შეურიგდა, და დაქსაქსულმა მაინც სცადა შებრძოლება თავ აწყვეტილ მტერთან. საქართველო დარწმუნებული იყო, რომ იმ პირობებში შეუძლებელი იყო გამარჯვებაზე ოცნებობა, მაგრამ ის კი საჭირო იყო, რომ მტერს გზა-გზა დაგვებრკოლებინა და ამ დროს მოგებით მოკავშირე რამ ძალა აღმოგვეჩინა. ჩვენ ისიც ვიცოდით, რომ მოკავშირეთა პოვნა არც ძნელი იყო. პირიქით: ყველა სახელმწიფო, რომელიც დაინტერესებულია აზიის ბედით, ყველა ის დიდი სიამოვნებით ჩამოგვართმევდა გაწვდილ ხელს, მაგრამ საკითხავი ის არის, თუ მეორე ხელით რას მოგვაწვდიდა რეალურს? ინგლისი, რუსეთი და გერმანია. აი ეს სამი სახელმწიფო იყო ჩვენ წინ და ჩვენც უნდა არჩევანი მოგვეხდინა. გვერჩია ინგლისი? მაგრამ იგი რომ შორს იყო? ჩვენ იგი რეალურ დახმარებას ვერ გაგვიწევდა, ჯარს ვერ მოგვაშველებდა, ჩვენ კი ეს გვჭირდებოდა, თორემ საქართველოს გვიკლავდნენ, გვიოხრებდნენ შინა და გარე მტრები.

რუსეთი? მაგრამ რაღაა რუსეთი? სად არის იგი? თვით აღუფხვრელი მასსა, თავის თავის გამანადგურებელი, თვით მოუწყობელი, ვით შესძლებდა ჩვენ დახმარებას? და ხომ თვით ეს რუსეთიც ჩვენდა სამტროდ, ჩვენდა დასაპყრობად მოემართებოდა? დარჩა გერმანია, რომელიც ახლო იყო, და შეეძლო კიდეც რეალური ძალის აღმოჩენა. ჯერ ერთი იმით, რომ მას შეეძლო ზე-გავლენა მოეხდინა ოსმალეთზე და შეეჩერებინა იგი, მეორეც საკუთარ ჯარითაც დაგვეხმარებოდა ჩვენი საზღვრების აღდგენაში და მტერთა მოგერიებაში. ქართველობა რასაკვირველია ისე მიამიტი არ არის, რომ არ გაეთვალისწინებინა ყველა ის შედეგი, რაც მოჰყვებოდა გერმანიასთან „მეგობრობას“, მაგრამ მეტი გზა არ იყო. ჩვენ წინ უკეთესი და ცუდის შორისი არჩევანი კი არ იყო, არამედ ცუდსა და უცუდეს შორის. ორ ბოროტებაში უნდა გვერჩია ნაკლები ბოროტება, და ამ არჩევანში წილი გერმანიასა ხვდა. სწორი გამოდგა ქართველების არჩევანი, თუ არა, ეს მომავლის საკითხია, და დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ შეიცვლება დღევანდელი სამხარ ძალთა განწყობილება. თუ გერმანიის კოალიცია კვლავ გამარჯვების გზით ივლის, ჩვენც შევინახავთ ჩვენი ერის არსებობას, და მაშასადამე ჩვენი არჩევანიც სწორი გამოდგება, თუ არა და მაშინ ალბად სხვა პერსპექტივები გადაგვეშლება და ჩვენც შევუდგებით ახალი გზების ძიებას. რა უყოთ. დიპლომატიამ და პოლიტიკამ ასე იცის. არც რუსეთიდან ჩამოცილებას ვფიქრობდით, მაგრამ ობიექტიურმა პირობებმა გვაჯობეს და სუბიექტიური რწმენაც შეგვიცვალეს. ალბად ასევე მოხდება მაშინ, თუ სლიერ გერმანიის ნაცვლად დავინახავთ გერმანიას დაშლილს, გავერანებულს, რუსეთის ასლს. მანამდე კი გავითვალისწინოთ ის პერსპექტივები, რომელიც ჩვენ გვეშლება თვალ-წინ, ჩვენ, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, როგორც განახლების გზაზე დამდგარ ერს.

თანამედროვე კაპიტალისტურ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკა უპირატესად ეკონომიურ ინტერესებით არის არის გამოწვეული. ეს ეკონომიური პოლიტიკა სულ იმის ცდაშია, რომ რაც შეიძლება მეტად გაუფართოვოს სახელმწიფოს საქონელთა გასასაღებელი სფერო. ამ მიზნებისთვის კაპიტალისტური სახელმწიფო ხმარობს ყოველგვარ ზომებს, დაწყებული რომელიმე მხარეს ფორმალურ შეერთებიდან, და გათავებული „მშვიდობიანი შეჭრილი“, რომელიც კონცესსიათა და სავაჭრო ხელშეკრულებათა სახით ცნაურდება. არის თანაც თანამედროვე იმპერიალიზმი ეძებს ნაკლებ განვითარებულ ქვეყნებს, და მით უზრუნველჰყოფს თავის კაპიტალისტთა წარმოებას. ეს ერთი მხრივ. მეორე მხრივ კი სხვებს უხშობს გზას ამ ქვეყანაში შემოჭრისას, და უხშობს როგორც ეკონომიურ ზომებით, აგრეთვე შეიარაღებულ ძალთაც.

ეს საზოგადოდ. კერძოდ გერმანია, როგორც მეტად განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფო, სცდილობს შორს გადიტანოს თავისი გავლენა, მოიპოვოს ახალ-ახალი მიწა-წყალი, და მისცეს ფართო გზა იმ კაპიტალისტურ ენერგიას, რომელიც ვერ ეტევა გერმანის ქარხნებით სულშეხუთულ და მჭიდროვ ქალაქებში.

ეს ტენდენცია გერმანიამ გამოამჟღავნა თუ არა, აღმოსავლეთისაკენ იბრუნა პირი, რადგან აქეთ ეგულებოდა კაპიტალისტური უდაბნო, სადაც გერმანიის ბურჟუაზიულ შადრევანს უძლებად დაეწაფებოდა მთელი მწყურვალე აღმოსავლეთის ქვეყნები და აქედანვე გაზიდავდა იმ მასალას, რომელსაც აქ, კაპიტალისტურ წარმოების უცოდინარნი ვერ იხმარებენ და მიტომ ვერც ფასს სდებენ საკმაოდ.

და უპირველესად მახლობელ აღმოსავლეთს მიხედა. ეს მახლობელი აღმოსავლეთი დიპლომატიურ ენით ოსმალეთს ჰგულისხმობდა, იმ ოსმალეთს, რომელიც აჩქარებულ თანდათანობით ჰკარგავდა მიწა-წყალს, ივიწროვებდა სახელმწიფო საზღვრებს, ეს მახლობელ აღმოსავლეთის საკითხი კი ფართოდ მთელ აზიას ჰგულისხმობს კავკასიითურთ, და მაშასადამე ჩვენს ქვეყანასაც. ისე რომ აღმოსავლეთის საკითხი სხვათა შორის ჩვენც შეგვეხება. ეს აღმოსავლეთის საკითხი კი მეტად ძველი საკითხია, პერიკლეს და ალექსანდრე მაკედონელის დრომდინ მოჰყავთ ზოგიერთ მეცნიერებს ამ საკითხის დასაწყისი. და თვით ბერძნული ლეგენდა, ოქროს ვერძის შესახებ, რომლის წამოსატაცად არგონავტებმა კოლხეთს მოაშურეს, თვით ეს ლეგენდაც კარგი მოწმეა, თუ როგორ ოცნებობდნენ კოლხეთზე და რა ეგულებოდათ ჩვენს ლადანა, კისკას სამშობლოში. და ძველი ოქროს ვერძი, ახალი ეხით ოქროს მთებად შეიძლება შეიცვალოს. დიახ, ჩვენ მთების წიაღში მოუხვედრელი დოვლათი წეროვეს პირველი დარტყმით მართლაც რომ ოქროს შადრევანსავით აღმოხეთქავს, და სწორედ ამ კაპიტალისტურ [illegible] ჩვენი ქვეყნისკენ ყველა, ვისაც კი ძალა და უნარი შესწევს.

ამ წევრთა რიცხვიდან კი გერმანია და ინგლისი ყველაზე ძლიერი არიან. ეს ორი ძლიერი სახელმწიფო კი ერთი მეორეს ეჯიბრება და ვნახოთ ვინ ჩაიგდებს ხელში ინდოეთისაკენ მიმავალ მოკლე და ხმელ გზას, რომელიც ჩვენ ქვეყანაზეა გადაჭიმული.

ნაპოლეონი ოცნებით ტფილისზე გაივლიდა ხოლმე.

ჯერჯერობით კი გერმანია შემოიჭრა „მშვიდობიანი გზით“. და თუ ამას ხელი შეუწყო გერმანიის საოცრად განვითარებულმა ტეხნიკამ, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ გაიმარჯვა არა მხოლოდ კრუპის ზარბაზან-მორტირმა, არამედ გერმანიის დიპლომატიამაც. მახლობელ აღმოსავლეთის საკითხს, სადაც შეკვანძულია ევროპის საერთაშორისო პოლიტიკა, ყველაზე ოსტატურად გერმანიის დიპლომატია მიუდგა. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისი დროებით მფარველობას უწევდა ოსმალეთს და მის მთლიანობას იცავდა, მაინც შორს მყოფმა გერმანიამ ოსმალეთი ჩაითრია თავის ცბიერად მოქსოვილ დიპლომატიურ ბადეში და ინგლისს საქმე გაუძნელა. მახლობელ აღმოსავლეთში გერმანია უფრო ძლიერად შემოიჭრა, ვიდრე ინგლისი. და თუ გავიხსენებთ ყოფილ რუსეთის სახელმწიფოს, რომელსაც ინგლისი თავის სასარგებლოდ იყენებდა, და ეს მოკავშირე დღეს ძალა დაკარგული ხელიდან გამოეცალა, მაშინ იძულებულნი ვართ ვსთქვათ, რომ ინგლისის გამარჯვების შანსები შეუსუსტდნენ, გერმანია კი სისტემატიურად იპყრობს ამ სადავო მხარეს. და რუსეთის სახელმწიფოებრივმა დასხეულებამ ხელი შეუწყო გერმანიის შეიჭრას არა მხოლოდ იმით, რომ ინგლისს გამარჯვების შანსები მოუსპო, არამედ იმითაც, რომ ამიერკავკასიას და კერძოდ საქართველოს, რომელნიც აქამდე რუსეთის ჭერქვეშ იყვნენ, ვეღარ უპატრონა და ამ უკანასკნელის დანგრევის შემდეგ ამიერკავკასია დარჩა გახმარტოებული. მაგრამ მან ცალკე ყოფნა ვერ შესძლო. ძლიერი სახელმწიფოს პატრონობა დასჭირდა. ამ საკითხმა კი ამიერკავკასიის ერების გზა სამ შტოდ გაყო, და თუ ადერბეიჯანი სტამბოლისკენ მიმავალ ხრიოკ გზას დაადგა, სომხეთმა მაინც ლონდონის შორი გზისკენ ჰქნა პირი, საქართველომ კი გერმანიას მიაშურა, და ვიდრე ეს უკანასკნელი მახვილით შემოიჭრებოდა, ჩვენ „მეგობრული ხელი“ გაუწოდეთ და მფარველობა ვთხოვეთ. ეს უეჭველად იძულებითი ნაბიჯი იყო. მაგრამ განა ასეთი იძულებითი ნაბიჯებით არ იქსოვება მთელი კაცობრიობის დიპლომატიური ქსელი ფარდაგი? და ასევე იქნება, ვიდრე საბოლოოდ არ დაინგრევა ის კაპიტალიზმის სამეფო კარ-თაგები, სადაც გაბატონებულია ანგარება და ხლვა ხმლეთის ხელი მოგდების ხელში, ვაჭრულ მეტოქეობისთვის ასე საჭირო.

ვახტანგ კოტეტიშვილი.

(დასასრული იქნება).

მოხდებოდა ივნისის 19-ის ამბავი, რომლისაც ვერაგი და მზაკვარი მტრის ხელმა ცეცხლს მისცა რამდენიმე მილიონის ქონება. მაგრამ ჩვენი სივაგლახე სწორედ ის არის, რომ ჩვენ ვერ შეგვიგნია ჯერაც ამ განწმედის აუცილებლობა. ზოგიერთგან კიდევაც უფრო ამრავლებენ მავნე ელემენტებს არა თუ ჰკლებენ, აი მაგალითად: ერთ ერთი ჩვენი დიდი დაწესებულების ქართველი მოხელე ავსებს თავის დაწესებულებას უცხო ტომის მავნე ელემენტებით, რომელნიც აშკარად იგდებენ ჩვენს მთავრობას, ჩვენს დასაგლეჯად მგლებივით კბილებს ილესავენ, ათას ცილს და ჭორს ავრცელებენ და ყოველივე სისაძაგლეს ხელს უწყობენ და ქართველ სტუდენტებს კი, რომელნიც უადგილობის გამო საშინელ გასაჭირში არიან ჩაცვივნილნი, უარს ეუბნება და სამსახურში არ იღებს. დროა ვიქონიოთ მეტი სიფხიზლე და გამჭრიახობა, დროა თვალები გავაჭყიტოთ და გონება გავამოძრაოთ, ცხოვრება ამღვრეულია და თუ ყურადღება არ მივაქციეთ, შეიძლება დავიღუპოთ. მითომ რას უყურებს ჩვენი მთავრობა, რატომ არ სწმენდს ჩვენს დაწესებულებებს მავნე ელემენტებისაგან? როგორ, ანგარიშები უნდა ჩამოართვას? არა მგონია, ეს მოახერხოს. მეტი წილი ძველი მოხელეებისა ანგარიშს ისე ჩააბარებენ ჩვენს მთავრობას, როგორც ჩააბარეს ივნისის 19 ის გმირებმა. მაშ რაღას ვუცდით?..

ამასთანავე, ჩვენი დამოუკიდებლობის დაუძინებელი მტრები, რუსებისა და სომხების საკმაო დიდი ნაწილი, რამდენს ჩვენს საწინააღმდეგო გაზეთს ბეჭდავენ ტფილისში და რამდენ პროვოკაციას და ჭორს ავრცელებენ ქალაქად და სოფლად. ნუ თუ ამას ყურადღება არ უნდა მიექცეს? თვით ტფილისში მყოფ გერმანელთა უფროსის შეკითხვა: „იქნებ გერმანელები არ გინდათო", ამ პროვოკატორების მიერ გავრცელებულ ხმებზეა მგონი დამყარებული; ჩვენს მტრებს მოსვენებას არ აძლევს ჩვენი ეროვნული თავისუფლება და ცდილობენ სხვა და სხვა გვარი ჭორებით უთანხმოება ჩამოაგდონ ჩვენსა და გერმანელებს შუა, ცდილობენ საქართველოს დაღუპვას. ჩვენს მთავრობას ჰმართებს გამოიჩინოს ძლიერი სისასტიკე, დაამყაროს წესიერება, რომ ასეთი ჭორები არ ვრცელდებოდეს ჩვენში.

ცხოვრება რომ კალაპოტში ჩადგეს, ჩვენის აზრით საჭიროა დაუყონებლივ მიღებულ იქმნეს შემდეგი ზომები:

ა. მოხდეს ყველა დაწესებულების გაქართველება. ამით ჩვენს მთავრობას მოსცილდება ის მავნე ელემენტები, რომელნიც მთავრობაში სხედან, ჭია მატლივით დახრავენ და ღრღნიან მას, და მის ადგილს დაიჭერს ნორჩი და ახალი ძალა ქართველობისა, რომელიც ყოველი მხრით ეცდება ხელი შეუწყოს თავის სამშობლოს მთავრობას.

ბ. სასწრაფოდ განიდევნონ ჩვენი ტერიტორიიდან მავნე ელემენტები სამხედრო პირნი იქნებიან ეს თუ ნამოხელარნი და სხვ., რადგანაც მათ დღეს ერთად ერთი ხელობადა აქვთ წყლის ამღვრევა და ჩვენი მიწა წყლის დაღუპვა. ივნისის 19-ის ამბებს, თუ არ განიდევნენ, ისინი კიდევ გაიმეორებენ.

გ. ძლიერი ყურადღება მიექცეს პრესას.

დ. ძლიერი ყურადღება მიექცეთ პროვოკატორებს და ყოველი დამნაშავე სასტიკად დასჯილ იქმნას.

ე. სასტიკი ყურადღება მიექცეს მთელს სახელმწიფო ქონებას და შენობებს, რადგანაც მტრები შეეცდებიან მათ განადგურებას.

ვ. სასწრაფოდ შემოღებულ იქმნეს ცრობა სოფლად, რომ ინტელიგენტური ძალებმა ცოტაოდენი მაინც სიმშვიდე შეიტანონ დღევანდელ მძვინვარე [illegible] აფორიაქებულ სოფელში.

ზ. დატუსაღებულ იქმნენ სოფლად და ქალაქად ყველა მობოლშევიკე ელემენტები და აჯანყებულთა წინააღმდეგ სასტიკი ზომები იქმნას მიღებული.

გ. ბ.

## ქართული ჯარის მდგომარეობა.

მრავალ ტანჯულ ჩვენს პატარა სამშობლო საქართველოს ბოლოს მაინც ეღირსა თავისუფლად ამოესუნთქა და მცირერიცხოვანი ჯარი შეედგინა. თუმცა ბევრი დაბრკოლება გადაეღობა ამ საქმეს წინა, მაგრამ მაინც შეძლება გვქონდა შეგვედგინა ერთი კორპუსი. როგორც მოგეხსენებათ ქართულ პოლკებში ჯარისკაცები ცოტანი არიან. საჭირო იყო მთავრობას დაეწესებია იძულებითი სამხედრო სამსახური იმ პირთა, რომლებიც ვალდებული არიან იმსახურონ და რასაკვირველია ამის შემდეგ პოლკებიც გაივსებოდნენ ჯარისკაცებით.

მიუხედავათ იმისა რომ ქართველი ოფიცრობა ბლომადაა, სამხედრო მთავრობამ მაინც ვერ გაახერხა საქმის მცოდნე და ხეირიანი ოფიცრები დაეტოვებინა პოლკში და უმრავლესობა ახალგაზრდა ოფიცრებისა, რომლებიც არც ჩხუბში ყოფილან და არც სამხედრო გამოცდილება აქვთ „ზაპასში" გაეშვათ.

დღეს ამას ვერ ვხედავთ, პოლკებში დატოვეს ეხლად სკოლა გათავებულები და უფრო გამოცდილები კი ოფიცრის რაზმში გადაიყვანეს, საიდანაც მათ ზაპასში ითხოვენ. ჩემის აზრით საჭირო იყო დაუყონებლივ მომხდარიყო ქართულ პოლკებში ნაციონალიზაცია რომელიც დღევანდელ პირობებში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა, მაგრამ საუბედუროდ ესეც გაჭირდება ჯერ ჯერობით ქართულ პოლკებში, ვინაიდან უმეტესმა ნაწილმა ქართველ ოფიცრებისამ ქართული ენა არ იცის. გული შეგიწუხდება ადამიანს, როდესაც ქართულ პოლკში, სადაც თითქმის ყველა ქართველები მსახურებენ, რუსულ ენაზე ლაპარაკს მეტს გაიგონებ ვინემ ქართულს. მიზეზი ამისა კი არის ქართული ენის არ ცოდნა. დღემდე ქართულ შტაბებში და პოლკების სამართველოებში ბლომადაა არა ქართველი ტომის ხალხი, რომელთაც რასაკვირველია ქართულის არაფერი არ გაეგებათ, ადერბეიჯანმა ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია და თათრის პოლკებში მსახურ რუს ოფიცრებს გამოუცხადა მოკლე ხანში შეისწავლონ თათრული თუ სურთ ადერბეიჯანის რესპუბლიკის ჯარში სამსახური ჩვენ კი ეს არ დაგვჭირდება, რადგანაც ქართველი ოფიცრობა ბლომადაა და ბევრს ზაპასში გასაშვებ ქართველ ოფიცრებში შეიძლება მოინახონ ქართული ენის და ლიტერატურის მცოდნენი.

დროა გაუგებრობას ბოლო მოეღოს და სამხედრო მთავრობამ ზემოხსენებულ საჭიროებებს ყურადღება მიაქციოს თუ სურს ნამდვილი ჯარი ნაციონალური გრძნობით და სამშობლოს სიყვარულით აღჭურვილი. საინტენდანტოში და სამხედრო საწყობებში უნდა მსახურებდენ საქართველოს რესპუბლიკის ერთგულნი, და არა იმისთანები, როგორც მაგალითად დიდუბის საწყობის მოსამსახურე რუსი გახულიგნებული ოფიცრები, რომელთაც საქართველოს ინტერესები გულს არ უთბობთ და ამიტომ აუარებელი საქართველოს ავლა დიდება ცეცხლს ჩაანთქმევინეს.

დროა, შეიქმნას ნამდვილი ქართული ჯარი და ეს მოხერხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სათავეში იქნებიან საქმის მცოდნენი და სამშობლოს მოყვარულნი სამხედრო ოფიცრები და მოხელეები.

ალ. გორგაძე.

## გორის კოოპერატივის

### წევრთა წლიური კრება.

ეს კრება პარასკევს, ივნისის 21 მოხდა ქალაქის თვითმართველობის დარბაზში. თავმჯდომარეობდა ექ. მ. კობერიძე. განსახილველი იყო 1917 ანგარიში, 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, წარსულ, საანგარიშო წლის მოგების განაწილება, გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები და სხვ.

წარსულ საანგარიშო წელს კოოპერატივს გადაუტრიალებია 647,808 მ. 13 კ. წმინდა მოგება დარჩენია 14,241 მ. 7 კ. წლის დასაწყისს ჰყოლია 910 წევრი. წლის განმავლობაში მოჰმატებია 690. 1918 წ. იანვ. 1 იყო 1600 წ. 1918 წ. იანვრის 1 კოოპერატივის ქონების და თანხების მდგომარეობა (ბალანსი ასეთი იყო:

აქტივი.

(ნაღდი და გაცემული).

| | |
|---|---|
| ნაღდი ფული სალაროში | 737 მ. 38 კ. |
| სარგებლ. ქაღალდები | 2384 მ. |
| საქონელი გასაყ. ფასით | 103,971 მ. 28 კ. |
| საპაიო თანხა ამიერკავკასიის კოოპერ. კავშირში | 1000 მ. |
| საზოგადოებისა მართებთ სხვა და სხვა პირებს | 419 მ. 78 კ. |
| ქონება | 2968 მ. 66 კ. |
| სულ | 111,481 მ. 10 კ. |

პასსივი.

(თანხები და ვალი).

| | |
|---|---|
| საპაიო თანხა | 15,510 მ. |
| საწევრო გადასახ. | 3200 მ. |
| სათადარ. თანხა | 803 მ. 17 კ. |
| საკულტ. საგანმ. ფონდი | 1000 მ. |
| საკუთ. შენობის ფონდი | 2000 მ. |
| საზოგადოების სხვა და სხვა ვალები | 57,797 მ. 16 კ. |
| მსახურთა საწინდარი | 200 მ. |
| მობარებ. წევრთაგან | 4120 მ. |
| წინა წლ. გაუნაწილებელი მოგება | 500 მ. |
| დარჩენილი საქონლის მოგება | 10,397 მ. 13 კ. |
| საინსტრუქტ. ფონდი | 712 მ. 57 კ. |
| წმინდა მოგება | 14,241 მ. 7 კ. |
| სულ. | 111,481 მ. 10 კ. |

ანგარიში კრებამ უკამათოდ დაამტკიცა.

მოგება 14,241 მ. 7 კ., კრებამ ასე გაანაწილა: სათადარიგო თანხაში გადაირიცხა 2136 მ., კულტ. საგანმანათლ. ფონდს მიემატა 5000 მ., ქართულ უნივერსიტეტს 2105 მ., საკუთარ შენობის ფონდს მიუმატეს 4000 მ., საქართველოს კოოპერატ. ყრილ. საჭიროების სასარგებლოდ 1000 მ., კრებამ 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვაც დაამტკიცა. ამ ხარჯთ-აღრიცხვით გადიდებულია: შენობის ქირად 1800 მ., მისვლა-მოსვლა საზოგადო საქმეებზე 1000 მ., საკანცელარიო ხარჯი 300 მ., განათება და გათბობა 400 მ., ტელეფონისთვის 120 მ., სხვა და სხვა ხარჯი კოოპ. მაღაზიაზე 1500 მ., გაფუჭებულ საქონლის ასანაზღაურ. 2000 მ., მოულოდნელი ხარჯებისთვის 1500 მ. პასუხისმგებელ ნოქარს თვეში 500 მ. ბუღალტერს თვეში 400 მ., მოლარეს თვეში 250 მ., უფროს ნოქრის დამხმარე მსახურს (სამს) წელიწადში 8000 მანეთამდე.

კრებამ დაადგინა სესხზე აძლიოს 11% მდე.

კრებაზე ორმა მიმართულებამ იჩინა თავი. ერთნი—დიდი უმრავლესობა—იმის მომხრე იყვნენ, რომ წესდება უნდა დარჩეს ძველი და გამგეობაში ისევ შვიდი წევრი უნდა იქმნეს არჩეული. მეორენი—ორ-ნახევარი კაცი, რომელთაც მეთაურობდა ყოფილი გორის ქალაქის თავი ლ. გრიგოლაშვილი, რომელსაც ჩვენი გაზეთის მკითხველნი კარგად იცნობენ და რომელსაც დღემდე კოოპერაციის სასარგებლოდ ჩხირი არ გადაუბრუნებია, მოითხოვდნენ—უნდა კოოპერატივის მართველობაში ახალი წესი შემოვიღოთ, გავაუქმოთ შვიდ წევრიანი გამგეობა და კოოპერატივს სათავეში ჩავუყენოთ სამი კარგი ჯამაგირიანი დირექტორიო. რადგანაც კოოპერაციას საზოგადოდ უფრო ფართო დანიშნულება და მიზანი აქვს, ვიდრე დირექტორიის მომხრეთა წარმოდგენით, კრებამ იმათი პროექტი, რასაკვირველია, არ მიიღო და დაადგინა გამგეობაში ისევ 7 წევრი იქმნეს ამორჩეული. გამგეობის თავმჯდომარეს დაენიშნა 3700 მ., ხაზინადარს 1500 მ., დუქნის გამგეს (გამგეობის წევრს)—1200 მ., მდივანს—600 მან., წელიწადში. გამგეობის დანარჩენ წევრთ და სარევიზიო კომისიის წევრებს 10 მ., თითო სხდომაში. 1916 წლის გაუნაწილებელი მოგება 500 მ., გამგეობის თავმჯდომარის წინადადებით კრებამ გადასდო წითელ ჯვარის სასარგებლოდ. ძველ გამგეობაში შედიოდნენ: თავმჯდ. ს. მაჭავარიანი, ი. სუდაკოვი, დ. რუდნევი, ა. დრაგი, მ. რაზიკაშვილი, კ. გინსბურგი და კ. არველაძე.

ახალ გამგეობაში აირჩიეს: თავმჯდომარედ ერთხმად ისევ ს. მაჭავარიანი, ლ. ხიმშიაშვილი, ლ. ჩაჩანიძე, გ. გოგიბედაშვილი, მ. რაზიკაშვილი, გ. სალარიძე, გ. ყანჩაველი. მათ კანდიდატად გ. კოშორიძე და მ. ღვინიაშვილი. სარევიზიო კომისიაში: პ. ჩიქავა, ე. ხუციშვილი და ა. ჩუტკერაშვილი.

რკინის გზის ნაწილის კოოპერატივმა „ალიონმა" ითხოვა მიეღო იგი გორის კოოპერატივს თავის განყოფილებად. კრებამ ეს მოიწონა და დაავალა გამგეობის თავმჯდომარეს ეხლავე შეუდგეს ამ საქმის განხორციელებას. გამგეობის თავმჯდომარემ კრებას ისიც მოახსენა—განზრახულია ამ მოკლე ხანში დაარსდეს გორში გორის რაიონის კოოპერატივთა კავშირიო. კრებამ ესეც მოიწონა და დაადგინა—ჩქარა დაარსდეს ხსენებული კავშირი და კავშირში გორის კოოპერატივიც შევიდეს წევრად. კრება ღამის 11 საათზე დასრულდა.

ხანგანიძე.

## წერილი რედაქციის მიმართ.

(სიღნაღის მაზრის კომისარს პ. გელაშვილს.

თქვენ სამედიატორო სასამართლოში გამოიწვიეთ იმ წერილისა გამო, რომელიც დავბეჭდე „სახალხო საქმის" 178 ნომერში სიღნაღის მაზრის კომისარიატის მოღვაწეობის შესახებ. თანხმობა გამოგიცხადეთ და თან შეგეკითხეთ, ჩემის წერილის სიმართლეს სავსებით უარყოფთ, თუ ნაწილობრივ მეთქი. თქვენ ამ შეკითხვისა გამო ბრძანებთ: ამგვარი შეკითხვით ბრალმდებელი ნიშნავს სამედიატორო სასამართლოს უარყოფასო („ერთობა" 104 ნომერი). სახაცილოა ამგვარი რამის მტკიცება, მეტი რომ არ ითქვას. რომ მე არ გავურბივარ სასამართლოს და მზად ვარ დაგიმტკიცოთ ყველაფერი, რაც დავწერე, ეს აშკარაზე უაშკარესია ყველასათვის, ვინც წაიკითხა ჩემი მეორე წერილი „სახალხო საქმის" 212 ნომერში მოთავსებული და თუ თქვენ ამას სწერთ, მხოლოდ იმიტომ რომ გაქვთ [illegible] ბით, ეგებ გამოდგა დაიჩრდილო და ამ გვარი ხერხით სცდილობთ ისეთი შთაბეჭდილება შექმნათ საქმეში ჩაუხედავ გულუბრყვილო მკითხველში, თითქოს თქვენს მხარეს იყოს რაიმე სიმართლე.

რაც ჩემის შეკითხვით მწადდა გამომერკვია, ეხლა ჩემთვის გარკვეულია. თქვენ სავსებით უარყოფთ ჩემს წერილში მოყვანილ ყველა პუნქტებს, ისეთებსაც კი, რაც მთელმა სიღნაღმა და სიღნაღის მაზრამ იცის და რასაც ჩემის აზრით დამტკიცებაც არა სჭირდება: დეე გამოარკვიოს მიუდგომელმა სამედიატორო სასამართლომ, რამდენად შეეფერება სინამდვილეს ჩემი წერილის შინაარსი და მქონდა თუ არა სრული უფლება და საკმაო საფუძველი საქვეყნოდ მეხილებინა ის, რაც გამხილეთ. მედიატორებად ჩემის მხრივ ვასახელებ გ. დაფქვიაშვილს და ა. მჭედლიშვილს. დაასახელეთ თქვენც მედიატორენი.

ნ. ხატის-კაცი.

[illegible]


ექიმი
**[illegible]**
იღებს სამეანო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
**პავლე არდაზიანი**
გამოცხადდა, იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. [illegible] ქ. 12, 2 [illegible]. 1002

ექიმი
**[illegible]შვილი**
[illegible] დილის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 8.

კბილის ექიმი
**კონსტანტინე არდაზიანი**
განახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

ექიმი
**ი. ი. ბერიშვილი**
დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფთათვის. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 8. 460

ექიმი
**დ. შარაშანიძე**
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. [illegible] ქუჩა № 7. 1180

ექიმი
**დ. ი. ჯაფარიძე**
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მასის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—49. 1158

მედიცინის დოქტორი
მიუნხენის უნივერსიტეტისა
**ნ. ლ. ტურიაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 საღ.
შინაგანი, ბავშვებისა, საზეებით და საშვილოსნოს სნეულებანი.
ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 624

ექიმი
**ს. ზ. მირზოევი**
[illegible], იღებს 4—6 ს., [illegible] № 1, მეორე სართული. 1009

ექიმი
**გ. მ. მუხაძე**
[illegible] № 67, [illegible] 1030

ექიმი
**კ. ტყეშელაშვილი**
დებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით $5\frac{1}{2}$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

მარტის 20 გაიხსნა
**ახალი სამკურნალო**
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
**ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის**
საავადმყოფოში იხსნება კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და კიროჩნის ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.
ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8 მდის.
ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს.
ღარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

ექიმი
**შ. ა. მიქელაძე**
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

**თვალის სამკურნალო**
მუდმივი საწოლით
**ექიმ დონხინისა**
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში, თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროს. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად), მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ექიმი
**დ. ვ. ჯავახიშვილი**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1082

ექიმი
**ნ. ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი [illegible] ქ. № 11. 426

**ექიმ ნავასარდიანის**
**პირველი კერძო**
**სამკურნალო**
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606" და „914" 11—12 ს.
ზ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
გ. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ზ. გ. აგახაროვი: $9\frac{1}{2}$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
[illegible]—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11\frac{1}{2}$ ს.
[illegible]: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ზ. გ. ავეტიხიანი—9—11 ს. საკუთარივ ბავშვთა ავადმყ.
ი. ი. ტერ გრიგორიანცი: 1—2 ს. შინაგანი.
საღამოთი:
ა. ნ. იხკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1010

# საჯარო ვაჭრობა
ტფილისის ქალაქის სამმართველო აცხადებს
რომ შაბათს, ივლისის 6-ს 1918 წ. დილის 11 საათზე სამმართველოს თანადასწრებით
## მოხდება საჯარო ვაჭრობა
იჯარით გაიცემა ქალაქის ყაფაზებიდან გადასახადის შემოსავალი. ყაფაზები არსებობენ 1) მალაკნების მოედანზე, 2) სალდათთა მოედანზე სომეხთა სემინარიის შენობაში და 3) კახეთის მოედანზე ნუნუფარიევის ეზოში.
პირობებისა და ცნობების გაგება შეიძლება ქალ. სამმართველოს საიჯარო განყოფილებაში. 1220

სტამბა
**„სახალხო საქმე"**
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას.
საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.
კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14, ტელეფონი 17—96.